140
2006

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკა
ბეჭუაშვილი

# ნაპალოული

# საქართველოს მოძღვანელ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნინი
ნადირაძე

ბექა
ჯალაღონია



მარიამ
ბურდული

Book Land
წიგნის სამყარო

გაუკეთეთ საჩუქარი
პატარებს!

წიგნები ადგილზე მიტანით

მის: კოსტავას 14, IV სართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

# ნოემრის შინაარსი


**საყმაწვილო ჟურნალი**
**2006 წ. № 9**


ბავში ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამადაშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფეძარზეა აღმოცენილი. მოგვიანებით მას სახელად შეეცვალა და „ბიოწყენი“ ეწოდა. 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირველადი სახელწოდებით გამოდის.

წელიწადში გამოიცემა ჟურნალის ექვსი ნომერი (იანვისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში „ნაკადულს“ საზაფხულო ორეკადაგებები აქვს).


**რედაქტორი**
**მანანა ფელაშვილი**

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93 31 81; 93 18 84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი

რეგისტრირებულია მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში.
რეგისტრაციის № 06/4-575



4. ჯუჯრუჯანები (მოთხრობა)

12. ნიშანნი ხარისხისა და პატივისანი

14. უცნაური ჯავშირები





15. ტესტი თინეიჯერებისთვის

26. ჩარლი ჩაპლინი

28. პეთონის ივერონი


## ჩუბჩიჯები


7,19 – ოდოშხერი
10 – მსოფლიო კიდით კიდემდე
20 – პოეზიის მარგალიტები
24 – რატომ ვამბობთ ასე?
26 – უნდა გაგაოცოთ
28 – სახელმძღვანელო +
31 – სიცილის გაკვეთილი
32 – იწილო-ბინილო


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაპაპაღელის“ საინფორმაციო სამმართველო „ფაქტი“

## ფუნიკულიორ სკოლის კანსაკუთრებული დაცულობა აქს

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმა შეაფასეს კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ბავშვებისა და ახალგაზრდების სიტუაცია. შეფასება განახორციელა ორმა ჯგუფმა თბილისსა და ზუგდიდში, ერთი უცხოელი და ორი ადგილობრივი ექსპერტის ხელმძღვანელობით. მონაცემები შეგროვდა გორში, თბილისში, რუსთავში, ზუგდიდში, წყალტუბოსა და სენაკში განლაგებულ 18 კოლექტიურ ცენტრში. აღმოჩნდა, რომ იძულებით ადგილნაცვალი ახალგაზრდები აწყდებიან სტიგმატიზაციას ადგილობრივი თანატოლების მხრიდან, რაც მათში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, მათ უბდებათ მუდმივი რისკის ქვეშ ცხოვრება.

იძულებით ადგილნაცვალ ბავშვებს, საბედნიეროდ, აქვთ საშუალება მიიღონ უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება. თუმცა, არსებობს განსხვავება ბავშვების მიერ განათლების ფიზიკურ თუ ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას შორის. ბავშვები და ოჯახები უამთავრესად ეკონომიკურ ბარიერს ასახელებენ, რომელიც ხელს უშლით იარონ სკოლაში და დაესწრონ გაკვეთილებს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დევნილი სკოლების არსებობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან ისინი საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს განათლების არსებული სტრუქტურა და სისტემა აფხაზეთში დაბრუნების შემთხვევაში.

## ეკონომიკური ეკონომია

თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საჯარო სკოლაში VII კლასის მოსწავლეებისა და პედაგოგ ნათელა სამადბეგიშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით ჩატარდა გალაკტიონის 115 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ჩარჩოებში სკოლის საშუალო და უფროს კლასებში ჩატარდა დია გაკვეთილები: „ჩვენი გალაკტიონი“, „ჩვენ ვეითუ ლობთ გალაკტიონს“, „გალაკტიონი და ბუნება“. დიდი პოეტის სახლ-მუზეუმში გაიმართა თემატური საღამოები, „ჩვენ და გალაკტიონი“, „ჩემი გალაკტიონი“, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში კი მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, ამავე დღეებში სკოლაში გაიხსნა გალაკტიონის სახელობის ლიტერატურის კაბინეტი. კვირეულის დასკვნით დღეს მისმა ინიციატორებმა სკოლის სააქტო დარბაზში წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“. ამ ღონისძიებაზე 51-ე სკოლელებს მარტყოფის უდედმამო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებიც ჰყავდათ მოწვეული.

## ეპიზოდები ხეფოსმოსრისი თეუსეფეზე

ზაჰესის საჯარო სკოლის მეზუთე კლასის მოსწავლემ გიორგი მაისურაძემ გაიმარჯვა მაკედონიაში ჩატარებულ ნორჩ შემსრულებელთა საერთაშორისო ფესტივალზე. გიორგი ანსამბლ „იმედის“ სოლისტია (ხელმძღვანელი ჯონი თითირაშვილი).

## ბანკისა და სკოლის თანამშრომლობა

„პროკრედიტ ბანკის“ მოზიდვა-მომსახურების მენეჯერები ლია ბერაძე და ნინო წკრიალაშვილი, „პროკრედიტ ადმინისტრატორი მაია შიუკაშვილი რუსთავის სკოლა „მნათობს“ ეწვივნენ და ბავშვებს ბანკის ლოგოებით დამშვენებული ცხრილები, რვეულები და ჰაპერო ბუშტები დაურიგეს, მოსწავლეებმა კი სტუმრები ლექსებითა და სიმღერებით გაამხიარულეს. „პროკრედიტ ბანკის“ თანამშრომლები ამგვარ აქციებს ხშირად ატარებენ სხვადასხვა სკოლებში, რაც ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობას.

## ეპიზოდები ეროვნული სიმბოლოთი

მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში სარაგაულის რაიონის I-IV კლასის მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ საქართველოს სიმბოლიკით დამშვენებული ქურთუკები. სულ ასეთ ქურთუკებს 1100-მდე სარაგაულელი მოსწავლე მიიღებს. წლის ბოლომდე მსგავს ქურთუკებს ყაზბეგელი, ყვარლელი, გურჯაანელი, თელეველი, თიღველი, ერედველი და ქურთელი ბავშვებიც მიიღებენ

მორმან ლუბანიძე

# ყველას! ყველას! ყველას!

(საახალწლოდ)

ქართლ-კახეთად, იმერეთად,
სამეგრელოდ, გურიად,
ვისაც ჩვენი გაყოფა
და გათიშვა სწყურია,
ან ჭკვიანი მტერი არის,
ან უგნური მოყვარე,
ამიტომაც სადაც წავწვდი
ერთიანად მოვთხარე.
მიყვარს — მტკვარი,
მიყვარს — ქსანი,
ტეხორა და ენგური!
მიყვარს „ლილე“,
მიყვარს „ლალე“,
მიყვარს „ჩელა“
მეგრელი...
მაგრამ ყველას მირჩევნია
ერთ დიდ მუშტად შეკრული,
რა თქმა უნდა, საქართველოვ,
შენი მზე და შენი ცა,
მრავალ ახალ, მრავალ ახალ,
მრავალ ახალ წელიწადს!

**მოთხრობა**

**რევაზ ინანიშვილი**

# კუკრუჭანები

პატარა რომ ვიყავი, სამი დიდი კაკალი გვედგა: ერთი — ეზოში, სახლის გვერდზე, მეორე — ეზოს ბოლოში, ფერდაში, მესამე — სულ დაბლა, ჭალის ვენახში. ყველაზე დიდი ჭალის ვენახის კაკალი იყო. სხვა რომ არა ვთქვათ რა, ჯერ მარტო ეს რად ღირდა — კენწეროზე ყოველწლიურად ყვავების სამი თუ ოთხი ოჯახი იკეთებდა ბუდეს. დიდად სახელგანთქმული მბერტყავი უნდა ყოფილიყო, რომ იმაზე ასულიყო და დაებერტყა. ერთხელ, გუშინდელ დღესავით მახსოვს, ხუთი გოდორი ბროლა კაკალი ჩამოვიდა, ლენჯოიანი კიდევ ცალკე იდგა გორად. ჩვენი სახლის სხვენში ფეხს ვერ ჩასდგამდი, სულ კაკალი იყო გაფენილი ოთხი თითის სისქედ. ამოდენა კაკალს მარტო ერთი ოჯახი ხომ ვერ მოიხმარებდა, ზოგს ნათესავ-მოკეთეებს ვთავაზობდით, ზოგს ვყიდდით კიდეც, მაგრამ მე და ჩემი ბიძაშვილები, ათი-თორმეტი წლის ბიჭები მაინც სხვისი კაკლების მოსამცვრევადაც დავდიოდით. რა არის ეს მომცვრევა? რა არის და — ხომ დაბერტყავენ კაკლებს, როგორც უნდა დაბერტყონ, ზედ თითო-ოროლა კაკალი მაინც დარჩება, თანაც სულ კენწეროებში და გამონაპირებულ ტოტებში, სულ საღი და საუკეთესები. მივდგებოდით ამ „საყვავედ“ დატოვებულებს მოკლე, სასროლი ხელკეტებით, ზოგჯერ საგანგებოდ გამზადებული, თითისტარივით გათლილი და გაპრიალებული ხელკეტებითაც, ერთ კაკალს მთელი ნახევარი საათი ვეწვალებოდით და მაინც ჩამოვაგდებდით. ამას ემატებოდა ნაწვიმარი და ნაქარალი. ახლაც კი, ქალაქში მცხოვრები შეჭაღარავებული კაცი, ბევრჯერ ვხედავ სიზმრად: შემოდგომაა, მივდივარ ნაწვიმარზე სარწყავი არხის პირ-პირ და ვხედავ, ღიღველა ბარტყებივით ერთმანეთს მიჰკვრიან და ჩაყუჟულან, ჩამალულან ბალახებში სველი ბროლა კაკლები; ვხედავ და იმწამსვე ვგრძნობ, რომ სიცოცხლე მემატება, რაღაც გრილი, მჟრჟოლავი სიჯანსაღე შემოდინება ძარღვებში, თითქოს ეს-ესაა ახლა ჩამეყაროს უბეში ის სველ-სველი კაკლები და ცივად შემომფუთფუთებდნენ შიშველ სხეულზე.

ჩხაკუნით, სიამაყით ამოვიტანდით შინ და გავშლიდით ჩვენთვის ცალკე. გული რომ რამეზე არ შეგვთანაღრებოდა, ყოველ ახალ მოტანაზე მთლიანად გადავთვლიდით, ვთვლიდით წყვილ-წყვილად — ასს, ორასს, სამასს და ზოგჯერ ხუთასსაც კი.

მომცვრევაზე სიარულს დიდებიც არ გვიშლიდნენ. მარტო ამას გვეტყოდნენ, დაუკრეფავს არაფერს შეაწოდოთ ხელიო, და ჩვენც, გულზე ხელის დადებით ვამბობ, პირნათლად ვასრულებდით ამ პირობას.

თათარობის წინა დღეებში ბებია გვეტყოდა: — აბა, მოიტანეთ თქვენ-თქვენი მონაგარი, კუკრუჭანებისთვის დავამტვრიოთო. გადმოიღებდა თაროდან ფილს და ფილთაქვას, ჩაუდებდა იატაკზე ფეხმორთხმით, გადმოაბრუნებდა ფილს და იმის სწორ ძირზე ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ტეხდა ყოველ კაკალს, რომ

ლებნები მთელი დარჩენილიყო. ვეხმარებოდით ჩვენც, ბიჭები, ვამტვრევდით, ვარჩევდით, მთელ-მთელ ლებნებს ცალკე ვაწყობდით. მერე, დარჩევასაც რომ მოვრჩებოდით, გამოიტანდა ბებია ნემსსა და ძაფს, მოკაუჭებულ თითზე გამოგვდებდა, თუ ძალიან წმინდა იყო, ოთხკეცს დაგვაგრეხინებდა, თუ ცოტა მომსხო — ორკეცს, მოგვატოლებდა იმ დაგრეხილ ძაფს ყველას სათითაოდ და ჩვენ-ჩვენი მონაგარი ნიგვზიდან ჩვენს სიგრძე კუკრუჭანებს აგვისხამდა.

ეს კუკრუჭანები ჯერ ისევ ნიგვზად ხმებოდა მზეზე, მერე, თათარას რომ მოადუღებდნენ, პირველ რიგში იმათ ამოგვივლებდნენ, მძიმე-მძიმედ დიდი ამბით ამოჰქონდათ თათარის ქვაბიდან, ციმციმ მიჰქონდათ და სხვა ჩურჩხელებისგან გამოცალკევებით ჰკიდებდნენ თითო-თითოს ბოძებზე დასობილ მსხვილ ლურსმნებზე. ეკიდა იმ ბოძებზე ჩურჩხელებთან შედარებით დიდხანს, თითქმის მთელ თვეს. გახმებოდა კარგად, როგორც იტყოდნენ — „ზომაზე“, ჩამოხსნიდნენ, გაახვევდნენ სუფთა პურის ტილოში და ჩააწყობდნენ კამოდის უჯრაში, ჩვენ, ბიჭებს, მშობლების ნებადაურთველად ხშირად წაგვიცდებოდა ხოლმე ხელი ჩურჩხელებზე, კუკრუჭანებს კი ამას ვერ გავუბედავდით, ისინი თითქოს შელოცვილები თუ ტაბუდადებულები იყო, ხელის ხლება მარტო ბებიას შეეძლო, ისიც ბედნიერ დღეებში — ახალ წელს, ჩვენი დაბადების დღეს ან პირველ მაისს. იმ დღეებში ყველანი ერთად ვიყავით — ოჯახის წევრებიც და ნათესავებიც. გაშლილი იყო საბედნიერო სუფრა, პურობდნენ, სვამდნენ, მხიარულობდნენ. და, აი, აქ ყველაზე უფრო საზეიმო წუთებში წამოდგებოდა ბებია, სადღაც გრძელი კაბის ბოლოზე დაკერებული ჯიბიდან ამოიღებდა გასაღებს, გააღებდა კამოდის უჯრას და ხელისგულზე დასვენებულს მოგვართმევდა ჩვენს კუკრუჭანებს — ასე მთლად და ტკბილად დაესწარით, შვილებო, მრავალ ამ დღესო. ჩვენი კუკრუჭანები სულ თეთრად იყო დაშაქრული, თითის დაკარებაც კი გვენანებოდა, მაგრამ წესი ასეთი იყო, და ჩვენც დავამტვრევდით და ყველას ჩამოვურიგებდით.

ყოველნაირი ჩურჩხელა გემრიელია ამ ქვეყანაზე, გამორჩევით ნიგვზისა, მაგრამ კუკრუჭანებს — მთელლებნიან შენსიგრძე ჩურჩხელებს — მაინც ვერაფერი შეედრება. ვერაფერი შეედრება შენი ნაშრომის გემოს, რომელსაც ემატება ვიღაც უჩინარი წინაპრების, ბებიებისა და დედების ლოცვის გემოც.

# საახალწლო სამზადისი

ჩვენს ოჯახში საახალწლო მზადება 25 დეკემბრიდან იწყება. ჩემი შშობლები ბაზარში მიდიან და ყველაფერს ყიდულობენ, რაც სჭირდებათ. მერე მე და დედა ვიწყებთ მზადებას, ეს პროცესი ძალიან მიმწონს, რატომღაც სხვა დროს ასე არ მეხალისება სამზარეულოში ტრიალი, როგორც ახალ წელს. ამ დროს უფრო სხვანაირი განწყობა და ხალისია. საჩუქრებს ვუკეთებთ ერთმანეთს ოჯახის წევრები, მაგრამ ყოველ წელს-მეთქი, ვერ ვიტყვი — ეს არც ტრადიციად გვაქვს და არც ჩვეულად. როგორც მოგვიხერხდება იმ წელს, ისე ვაკეთებთ. სურვილს კი აუცილებლად ვნატრობ ხოლმე, თუმცა სამწუხაროდ, ნატვრა არასდროს ამსრულებია. ერთადერთხელ, სამი წლის წინ ამიხდა ერთი სურვილი, იმის მერე კი — აღარ. ერთხელ სხვების რჩევით, ისიც კი გავაკეთე. ალრე, რომ სურვილი ქაღალდზე დავწერე, დავწვი, ფერფლი შამპანურში ჩავყარე. შემდეგ დავლიე და სამი დღე საწოლიდან ვეღარ ვდგებოდი. საბედნიეროდ, გადავრჩი. იმის მერე სურვილები აღარ ჩამითქვამს.

**მაკა თუშიშვილი, თბილისის 87-ე საჯარო სკოლა, X კლასი**

ახალი წლის დადგომა ძალიან მიხარია. ყოველთვის დიდი მოლოდინით ვარ ხოლმე ამ პერიოდში. განსაკუთრებით მიყვარს ნაძვის ხის დადგმა. თავად ეს პროცესი იმხელა სიამოვნებას მანიჭებს, რომ შეგიძლიათ გამომიძახოთ და თქვენც დავიდგამთ ნაძვის ხეს. საახალწლო სუფრისთვის კერძებს დედა ამზადებს, ხოლო ნამცხვრებს მე და უნდა გითხრათ, რომ ძალზე გემრიელი გამომდის. სურვილებს რაც შეეხება, ჩანაფიქრი არასდროს ამსრულებია. ალბათ ისე არ ვნატრობ ხოლმე, როგორც საჭიროა და იმიტომაც არ მიხდება. რაც შეეხება საჩუქრებს, ყოველწლიურად რაღაცებს მაინც ვნუქნით ერთმანეთს, მაგრამ მინდა ერთი განსაკუთრებული საჩუქარი გავიხსენო — შარშან, ახალი წლის ღამეს ჩემმა ძმამ მთხოვა მის ოთახში შემეხედა, სინათლე ავანთე და რას ვხედავ — უზარმაზარი ვარდისფერი, ფუფუფუა დათვი ზის საწოლზე ლამაზად შეფუფუული. ახლა ის დათვი ჩემს ოთახს ალამაზებს და ძალიან მიყვარს. მაშინ მართლა ბედნიერი ვიყავი, ეს დღე არასოდეს დამავიწყდება...

**ელენე მათიაშვილი, თბილისის 88-ე საჯარო სკოლა, IX კლასი.**

ახალი წლის დადგომა როგორც ყველას, მეც მიხარია, ამ დროს განსაკუთრებული შეგრძნება მაქვს, მაგრამ რომ ვთქვა ვემზადები და ერთ ამბავში ვარ-მეთქი, გულწრფელი არ ვიქნები. არც ბაზარში მიდიან და არც სამზარეულოში ეფაციფუცობ. მოდის ახალი წელი — ვხვდებით, ვქეიფობთ, ღამეს ვათენებთ, კარგ დროს ვატარებთ ძმაკაცები და ეს არის, მეტი ისეთი არაფერი.

ახალ წელს, რა თქმა უნდა, ოჯახში ვხვდები და ძმაკაცებთან მერე მივდივარ. სურვილები? რაღდროს ჩემი საახალწლო სურვილებია, კაცი დავბერდი.... ბავშობაში ალბათ მქონდა, მაგრამ ახლა ახალი წლის ღამეს მართლა არაფერი მინატრია.

**გიორგი ნაცვლიშვილი, თბილისის 87-ე საჯარო სკოლა, X კლასი**

ახალ წელს, როგორც ყველა, ჩვენც დიდი სიხარულით ვხვდებით. სუფრა ჩვენც ტრადიციული, ქართული გვაქვს. მამიკოს ეს ტრადიცია ძალიან უყვარს, ჩვენც გვთხოვს მის დაცვას. მამას არ უყვარს, როცა ახალ წელს ოჯახის რომელიმე წევრი აკლია, ან სხვაგან არის წასული. ამიტომ ამ დღეს ყოველთვის ერთად ვართ, რაც არ უნდა მოხდეს. შემდეგ იწყება ქეიფი და მეკვლეს მოსვლა, ხან ჩვენ მივდივართ ხოლმე მეკვლეად. ერთი სიტყვით, თუ სადმე მიეფიცართ, მაშინაც ერთად ვართ. ჩვენ ახალსაც და ძველ ახალ წელსაც ერთი სიხალისით და სიყვარულით აღვნიშნავთ, თუმცა სურვილებს მაინც ვამდვილი ახალი წლის ღამეს ჩაკუთქავამ ხოლმე. გული მწყდება, რომ ჩაფიქრებული არცერთხელ არ ამსრულებია. რაც შეეხება საჩუქრებს, საახალწლოდ დედაკო ყოველთვის მახარებს ხოლმე, რამეს აუცილებლად მნუქნის და მეუბნება, თოვლის ბაბუამ გამოგიგზავნაო და მეც ვნუქდები, ვითომ ვიჯერებ, არ მინდა გული ვატკინო, სანტერესოა, ნუთუ დღემდე ჰგონია, რომ მე თოვლის ბაბუის მჯერა და ის კი არ იცავნ, რომ მათი პატარა გოგონა უკვე დიდი გახდა...

**მაგდა გოგინაშვილი, თბილისის 88-ე საჯარო სკოლა, IX კლასი.**

ჩვენ ახალ წელს ყოველთვის სოფელში ვხვდებით, ჩემს საყვარელ ბებიასთან და ბაბუასთან ერთად. წინასაახალწლო განწყობა არაჩვეულებრივია. ამ დროს უფრო მეტად იგრძნობა სითბო და სიყვარული ოჯახის წევრებს შორის. სუფრა გვაქვს ტრადიციული, საცივით, გოზნასყიდ, ჩურჩხელებით და რაც მთავარია, ჩაჩილაკით. ბებოს ახალი წელი ჩაჩილაკის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ის ყოველთვის პირველი იდგმება ჩვენთან სუფრის შუაში. შემდეგ იწყება გართობა, მხიარულება, ქეიფი. ჩემი ოჯახი ახალ წელს უფრო მეტად აღნიშნავს, ვიდრე ძველს. მეტი მზადება და ხალისი პირველი ახალი წლით იწყება. ამ დღეს ერთმანეთს საჩუქრებსაც ვნუქნით და სურვილებსაც ჩავიფიქრებთ ხოლმე. თუმცა მე არცერთხელ არ ამსრულებია და გული მტკივა, რომ ასე ხდება. ჯერ, რომ ოდესღაც მაინც ამიხდება ის, რასაც ვნატრობ!

**გვანცა სოლიოლაშვილი, თბილისის 88-ე საჯარო სკოლა, IX კლასი**
**მოამზადა ნათია ნიკოლაიშვილმა**

## ფიფქები

მოდიან, მოიჩქარიან
ციდან ფიფქები თეთრი,
გამოექცნენ წვიმას,
გამოექცნენ ღრუბელს,
ეცემიან მიწას და
ქრებიან იმწამს.

## წმინდა გიორგი

წმინდა გიორგი ცხენზე ზის
ხელში უჭირავს ხმალია,
გველეშაპს ჩასცხო ღონივრად,
ეშმაკმა სული დალია.
წმინდანის თაყვანისცემა
ყველა ქართველის ვალია,
ჩვენ გავიმარჯვებთ რწმენით და
არ დაგვჭირდება ხმალია.

**ბექა ჯალაღონია,**
**№52 საჯარო სკოლა, VII კლასი**

# წვიმის წვეთი

მთელი ღამე შეუჩერებლად წვიმდა. ჩვენ ვერ ვხვდებოდით, თურმე ცა ცხარე ცრემლებით ტიროდა. მისი ცრემლები მრავალ ნაკადად მიედინებოდა მიწის გულისაკენ. ამდენი ხნის შემდეგ ძლივს ეღირსა დედამიწას სინანულის ცრემლით ბანა. ამდენი ხნის შემდეგ ჩვენ მაგიერ ინანიებდა, ირეცხებოდა მიწა ბინძური ცოდვისაგან. თუმცა ეს წვიმა ჩვენთვის მხოლოდ უსარგებლო წყალი იყო. ვინ იცის, რამდენი ნაკადული გამოკვება წვიმამ თავისი სიუხვით. თუმცა ჩემს ოცნებებს ფარდასავით დაეფარა და უფლება არ მისცა შორს გაფრენილიყო. ახლა მე ვზივარ ოთახში მარტო. ფანჯრიდან გაოცებული, ამავე დროს ჩაფიქრებული ვუყურებ ბროლის ცრემლებს. მინდა გულში ჩავიკრა, ფიქრები გავუზიარო, მაგრამ არ მიჩერდება, თავის გზაზე მიდის, ნუთუ სრულიად არ აღელვებს, რატომ ვუყურებ ასეთი სევდიანი თვალებით?!

აი, ერთი წვეთი ფანჯრის რაფაზე დაეცა, გამიღიმა და მითხრა: — ნუ მოიწყინე, პატარავ, შენთვის ადრეა წვიმასთან ბაასი. შენ ცისარტყელას ესაუბრე, მე ცრემლი წამსკდა და გუთხარი, რომ ცისარტყელას ვერსად ვხედავდი. ირგვლივ უკუნი ღამე და მხოლოდ წვიმის ფარდა იყო. ცელქმა წვიმის წვეთმა კვლავ გამიღიმა, ლოყაზე მეამბორა და ყურში ჩამჩურჩულა — ღამეს ყოველთვის განთიადი მოსდევს, წვიმას კი დარი. ოცნება გულიდან გადმომიფრინდა, წვიმის ფარდა გაარღვია და ცაში გაინავარდა. სწორედ ამ დროს სანატრელი ცისარტყელა დავინახე.

**მარიამ მჭედლიშვილი,**
**ქ. ქუთაისის №-14**
**საჯარო სკოლა, X კლასი**

**ბუნების მშვენიერება.**
ნინო ფხოველიშვილი,
რუხთავის №2 საჯარო სკოლა, III კლასი



**მტრედი.**
გვანცა ნადიკაშვილი,
რუხთავის №2 საჯარო სკოლა, III კლასი

# სკოლა და მოძაკვალი

**წარმოგიდგენთ თბილისის 88-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ მაია მღვდელაძეს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებში მუშაობდა თბილისის 152-ე საშუალო სკოლაში პიონერხელმძღვანელად. 88-ე სკოლაში მუშაობს 1985 წლიდან, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, იყო დირექტორის მოადგილე ჯერ აღმზრდელობით, შემდეგ კი სასწავლო დარგში. 2005 წლიდან ასრულებს დირექტორის მოვალეობას.**

**—ქალბატონო მაია, როგორ აისახება თქვენი სკოლის სინამდვილეში ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა? რა სიკეთე მოგიტანათ მან?**

—წლევანდელი სასწავლო წელი მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც განსაკუთრებით ხალისიანი განწყობით დავიწყეთ, საამისო საფუძველი კი ნამდვილად გვქონდა — განახლებული, კეთილმოწყობილი შენობა, ახალი მერხები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, ლამაზი სასკოლო ფორმა, ახალი ტექნიკური აღჭურვილობა და, რაც მთავარია, განახლებული სასწავლო პროგრამები. პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში განხორციელდა ჩვენი სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, პროგრამა „ირმის ნახტომის" საშუალებით ახალი კომპიუტერები მივიღეთ, ისე რომ ახლა ჩვენს ბავშვებს კომპიუტერზე მუშაობის უფრო ფართო შესაძლებლობები აქვთ.

**—ეს რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე რაღას გვეტყოდით?**

—ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის მთელი ძალისხმევა დამოუკიდებლად მოაზროვნე, ინტელექტუალური, დასკვნის გამოტანის და ცოდნა-შესაძლებლობების გამოყენების, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარის მქონე, მაღალნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდისკენ არის მიმართული. I,VII და X კლასებში სწავლება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით მიმდინარეობს. შევიმუშავეთ შეფასების კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები. გაკვეთილებზე თამამად ვნერგავთ სწავლებისა და აღზრდის ახალ მეთოდებს. მთავარი ორიენტირი ჩვენთვის არის მოსწავლე და მის მიერ მიღწეული შედეგი. თითოეული პედაგოგის მიზანია აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი, თავისუფალი, აქტიური პიროვნებები, რომელთათვისაც მთავარი იქნება ურთიერთპატივისცემა, შემწყნარებლობა, თანაშრომლობა, სხვათა შეხედულებების პატივისცემა, სამოქალაქო ცნობიერება. გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულისა, სკოლაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები. უმცროსკლასელებმა ძალზე საინტერესოდ აღნიშნეს იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის" გამოცემის 130-ე წლისთავი. საშუალო და უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის ეწყობა სასწავლო ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის ისტორიული ადგილებისა და ძეგლების მოსანახულებლად, ასე მოიარეს მათ დავით გარეჯის კომპლექსი, შიომღვიმე, თბილისის ძველი უბნები თავისი ეკლესიებითა და ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობებით. შთამბეჭდავი იყო მერეკლასში ჩატარებული კლასის საათი „თბილისობა". ამ სახის ღონისძიებების ჩატარებას მომავალშიც ვაპირებთ.

ჩვენი მასწავლებლების პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, მათი მზადყოფნა დროის და რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად აითვისონ და დანერგონ პედაგოგიურ-მეთოდური ინოვაციები, არსებული ტრადიციების რაციონალური მარცვლის შენარჩუნებით და ახლის დანერგვით მიაღწიონ სასურველ მიზანს, იმის გარანტიაა, რომ ჩვენი სკოლა ყველა ამოცანას წარმატებით შეასრულებს.

# ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით სოხუმში

დედიკო ნუ ტირი, ისევ დავბრუნდებით, სახლში, გპირდები! — ამ სიტყვებით ამშვიდებს ხოლმე ჩემი უმცროსი ძმა დედას. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ მართლა დავბრუნდებით. არც მე და არც ჩემს ძმას იქაური არაფერი გვახსოვს, რადგან მე 40 დღის ვიყავი, დედა და მამა რომ წამოვიდნენ აფხაზეთიდან. სვანეთის გზით მოვდიოდით, შიმშილის და სიკვდილიანობის საშინელი დღეები იყო. დედა ახლაც ცრემლებით იხსენებს ხოლმე იმ დღეებს. ოჯახში ვცდილობთ ამ თემას არ შევეხოთ, კარგია ახლა დედა სახლში რომ არ არის. ჩემი მშობლები ძალიან ბევრს გვიყვებიან ჩვენს დანატოვარ სახლზე, სოხუმზე, როგორი ლამაზი და საოცარი ქალაქია. ჩვენ მარტო სურათებით გვინახავს ის სილამაზე, რაც უკვე ჩვენი აღარ არის. თავდაპირველად ჩვენები რომ ჩამოვიდნენ, 5 წელი სხვის ბინაში გავატარეთ. შემდეგ აქ №1 საავადმყოფოს ერთ-ერთ შენობაში მცხოვრები ლტოლვილებისგან შევიძინეთ ეს პატარა ოთახი და ოთხი სული ვცხოვრობთ. მე აქვე, 89-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობ, IX კლასში ვარ, ჩემი უმცროსი ძმა კი VII კლასშია. სკოლაში ძალიან კარგი მეგობრები მყავს, თუ რამე მეჭირს, ყოველთვის მეხმარებიან. მაგრამ მე ძალიან მრცხვენია და საშინლად ვიტანჯები, რომ ჩემს მეგობრები ჩემთან ვერ მოდიან, უფრო სწორედ მე თვითონ არ მომყავს ისინი სახლში, აქ როგორ უნდა შემოვიყვანო?.. ჩვენი დახმარება არავის უცდია და არც უფიქრია, დედამ სად აღარ იარა, მაგრამ ამაოდ, ყველამ თავიდან აირიდა ეს საქმე და დახმარება არავინ მოინდომა.

თუმცა მეც და თემოსაც გვჯერა, რომ აუცილებლად დადგება ის დღე, როცა ჩვენ ჩავალთ სოხუმში და ამაყად შევაბიჯებთ საკუთარ სახლში, მაშინ ჩემზე ბედნიერი ბავშვი ალბათ საქართველოში არავინ იქნება.

**თემურ ჯოჯუა**

# „თეთრი მტრედები“ რუსთავში

**ლმერთის მოყვარულთა მსოფლიო აკადემიამ (პრეზიდენტი რონინ ლიპარტელიანი) და ფირმა „სხივმა“ (დირექტორი რონინ ოგივე თემურ დავითაშვილი) რუსთაველ ახალგაზრდებს ძვირფასი საწუქარი გაუკეთეს — გაიხსნა ნიჭიერ ბავშვთა ხელოვნების სტუდია, „თეთრი მტრედები“, რომელმაც ქალაქის ხალხმრავალ უბანში, მესხიშვილის ქ №16-ში დაიდო ბინა. მას შემდეგ რაც გაჩნდა აბრა „თეთრი მტრედები“, სტუდიის უამრავმა ბავშვმა და მშობელმა მიაკითხა. კასტინეი ყველამ გაიარა, თუმცა, მსურველთაგან ბევრი გარეთ დარჩა. ამის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდა შერჩევა, სტუდიის ხელმძღვანელები ქალბატონი მზია ანთაძე და ბატონი თემურ (რონინ) დავითაშვილი საუბრობენ.**

—კრიტერიუმი ერთადერთია — ნიჭი. ბავშვმა უნდა შეძლოს ნიჭის გამოვლენა, გვაჩვენოს თუ რა შეუძლია.

**—რაა განსაპირობა ამ სტუდიის გახსნა?**

—რუსთაველ ის ქალაქია, სადაც ამგვარი სტუდიის არსებობა აუცილებელია. რუსთაველებს უნდა შეეძლოთ საკუთარ ქალაქში მრავალმხრივი განათლების მიღება, საშუალება ჰქონდეთ ქალაქიდან გაუსვლელად იქონინონ ურთიერთობა ღირსეულ მამულიშვილებთან. იდეა, რის განხორციელებაც „ღმერთის მოყვარულთა მსოფლიო აკადემის“ 10 წლისთავთან დაკავშირებით მოხერხდა, ხელიანად ფირმა „სხივის“ ხელმძღვანელის ბატონ თემურ დავითაშვილის დამსახურებაა. ფინანსური უზრუნველყოფა უპირველესია იდეის ხორცშესხმისათვის, რომ აღარფერი ეთქვათ მის მორალურ მხარდაჭერაზე — ბატონმა თემურმა მთელი სული და გული ჩაღო ამ საქმეში.

**—ბატონო თემურ, როგორ ფიქრობთ, აქვს მომავალი ამ სტუდიას?**

—უპირველესად, მინდა გითხრათ, რომ რაც მე დავინახე — ის შემართება და სურვილი ქ-ნ მზიასა და მის გვერდით მყოფ ადამიანებში ეს იყო ყველაზე მთავარი, რამაც განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება იდეა რეალობად გვექცია და ჩემი ღრმა რწმენით, ამ სტუდიას დიდი მომავალი აქვს.

**—იქნებ მოკლედ ვისაუბროთ თქვენი კოლექტივის წევრებზე...**

—ჩვენი კოლექტივის წევრები არიან ადამიანები, რომელთა მარტო სახელი და გვარიც ყველაფერს ამბობს მათ შესახებ: სტუდიის კონსულტანტია — ბატონი გიგა ლორთქიფანიძე, თეატრალური სექტორი — ქ-ნი სოფიკო ჭიაურელი,ლიტერატურა — ქ-ნი ანა კალანდაძე, ქორეოგრაფია — ომარ მზეიძე, პედაგოგები თათია გაბეცაძე, დავით აბუაშვილი, ხალხური სიმღერები — ჯუმბერ ყოლბაია, საესტრადო — კახა ცაბაძე, კინო-ტელე-ვიდეო — ანდრო ჭიაურელი, მიხეილ ჭიაურელი, თანაშემწე ზაზა სვანაშვილი, ხატვა — დავით თოთიბაძე, პედაგოგი — ირაკლი აზიკური.

საბალეტო სექტორზე სწავლის მსურველებიც არიან, ამიტომ ინვიროდან მაკა მახარაძის მოწვევას ვფიქრობთ.

**—როგორი პრინციპით მუშაობთ?**

—სწავლა სკოლის რეჟიმთან არის შეთავსებული, ამიტომ ორ ცვლაში ვმუშაობთ. გარდა ჩვეულებრივი მეცადინეობისა, მოსწავლეებს ჩაუტარდებათ მასტერ-კლასები. ბავშვების სურვილით მოვიწვევთ მათთვის საჭიროელ ადამიანებს. აბჯარად ეს ზარა ბერიკაშვილი იქნება.

ჩვენ ვმუშაობთ გუნდური პრინციპით. ყველა სექტორის ყველა მონაწილე მიიღებს მონაწილეობას ჩვენს ნებისმიერ ღონისძიებაში. ოთხი წლის შემდეგ მათზე გაცემულ სერთიფიკატზე ყველა სექტორის ხელმძღვანელი დაადაფირებს საკუთარ გვარ-სახელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სექტორის მოსწავლეს ეკუთვნის სერთიფიკატი. ბატონი გიგა ლორთქიფანიძე მოსწავლეთა ძალებით აპირებს საბავშვო ფილმის გადაღებას. სტუდიაში სწავლა იმღენმა ბავშვმა მოინდომა, რომ მისმა მესვეურებმა გადაწყვიტეს მიღება წლის ბოლომდე გაეგრძელებინათ. „თეთრი მტრედები“ გაახალისებს და გაამრავალფეროვნებს რუსთაველი ბავშვების ცხოვრებას და საკუთარი უნარ-შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებაშიც უთუოდ დაეხმარება მათ.

# მსოფლიო ჯიდით ჯიდემდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აშშ

### 9 წლის მოცეკვავის მიღწევა

ალკატრასი – წარსულში სან-ფრანცისკოს ყურეში მდებარე ამ კუნძულის სახელიც კი შიშის ზარს ცემდა ამერიკელ განგსტერებს. აქ იყო ციხე, საიდანაც აღარავინ ბრუნდებოდა. ხოლო თუ ვინმე გაქცევას მოახერხებდა, ზღვაში იხრჩობოდა ან ზვიგენის მსხვერპლი ხდებოდა. მაგრამ 9 წლის ამერიკელმა სპორტსმენმა ჯონი უილსონმა არაფრად ჩააგდო ყველა ეს საშინელი ისტორია და ცურვით მიაღწია ალკატრასამდე. მატერიკსა და კუნძულს შორის მანძილის (2 კმ) დასაფარავად ჯონი მრავალი თვის განმავლობაში ვარჯიშობდა და თუმცა ძალიან კარგად იყო მომზადებული, გაბედული ბიჭუნას ორი ნავი და ერთი ვერტმფრენი მაინც ახლდა თან. ყურის გადაცურვას პატარა სპორტსმენმა ერთი საათი და ექვსი წუთი მოანდომა

## უკრაინა

### „ყველაზე ჭკვიანის“ კამპანიის ჯილდოს დაუჩნა

ინტელექტუალური თამაშის „ყველაზე ჭკვიანი“ გამარჯვებული და მათ საგულშემატკივროდ ჩამოსული კლუბის წევრები სუპერფინალის შემდეგ თბომავლით დნეპრზე სამოგზაუროდ მიიწვიეს. კრუ-

იზმა ძალზე მხიარულად ჩაიარა. მისამართების და ტელეფონის ნომრების გაცვლა-გამოცვლა, ფოტოსურათების გადაღება, ურთიერთობა პროგრამის შემქმნელებთან, დასვენება, ცეკვა და სიმღერა – და ეს ყველაფერი თბომავალზე.

## ბელგია

### პოპიღუჩი ცეცეოთონში – ოქიღოპის პიზუნი

ლეიენის უნივერსიტეტის მეცნიერმა-მედიკოსებმა 2,5 ათასი მოზარდის გამოკითხვის შედეგად დაასკვნეს, რომ ბევრ მათგანს საკუთარი მობილური ტელეფონების გამო უძილობა დასჩემდა. გამოირკვა, რომ მთავარ მუქარას ტელეფონის მფლობელებს ტექსტური შეტყობინებები უქმნის: ყოველი მეხუთე მოზარდი გამოტყდა, რომ ღამ-ღამობით ხშირად იღვიძებს, რათა SMS-ის საშუალებით მეგობრებს შეეხმაროს. თურმე „მობილურები“ ცივილიზაციის სხვა სიკეთეებზე, თუნდაც ტელევიზორსა და ვიდეთამაშებზე ბევრად უფრო საშიში ყოფილა, რადგანაც ძილის პერიოდული შეწყვეტა დღის განმავლობაში მოთენთილობას იწვევს და უბედური შემთხვევების ალბათობასაც ზრდის.

## ინგლისი

### 11 წლის ბიჭი ზოოპარკში მუშაობს

11 წლის სკოტ სიმფსონი მისი მშობლების კუთვნილ ინგლისურ პარკში Daradise Wiffz park -ში მუშაობს და მელიების, აქლემების, ტარანტულებისა და ფაუნის მრავალი სხვა წარმომადგენლის მოვლაში ეხმარება მათ. სკოტი ეგზოტიკურ ცხოველებს შორის გაიზარდა, მისი სახლი პირდაპირ პარკში მდებარეობს, ამიტომ მას არც მგლების ეშინია და არც სხვა მტაცებელი ცხოველებისა. ბიჭს ძალიან მოსწონს თავისი სამუშაო, მით უმეტეს, რომ შრომაში ხელფასსაც იღებს და ბევრი თავისი თანატოლისგან განსხვავებით, მშობლებისთვის ყოველდღიური ჯიბის ფულის თხოვნა არ უწევს.

# მე, წიგნი და კომპიუტერი

### გიორგი კოკაია, 15 წლის

წიგნებს იშვიათად ვკითხულობ და მხოლოდ დეტექტივები მომწონს. დამამახსოვრდა „შერლოკ ჰოლმსის“ თავგადასავალი. საერთოდ წიგნს კომპიუტერი მირჩევნია, ვიდრე წიგნი ვიკითხო, მიჯობს ფეხბურთი ვითამაშო მეგობრებთან ერთად. კითხვის დროს ვერაფერს ვხედავ და მიჭირს რამის წარმოდგენა. ყველა ჩემი მეგობარი ასე ფიქრობს, წიგნების კითხვა არავის უყვარს.

### ოლიკო კვერნაძე,

„ძალიან მიყვარს კითხვა, მომწონს ისეთი ნაწარმოებები, სადაც ჩანს ადამიანური სიკეთე. მიყვარს ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რადგან ძალიან სასაცილოა. მინდა, ბევრი წიგნი წავიკითხო. კითხვის გარდა მიყვარს თოჯინა ბარბით თამაში, მაგრამ კითხვა მირჩევნია.

### თამუნა კობახიძე, 9 წლის

დიდი ხანია არაფერი წამიკითხავს და არ მახსოვს ბოლოს რა წავიკითხე. წიგნი კი მიყვარს, მაგრამ მეგობრებთან ერთად ეზოში თამაში მირჩევნია და საკითხავად ვერ ვიცლი, ვკითხულობ მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გასართობი არ მაქვს.

### გვანცა სამხარაული, 9 წლის

მიყვარს სათავგადასავლო წიგნები, ზღაპრებს უკვე აღარ ვკითხულობ. საერთოდ ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული, სკოლის ბიბლიოთეკიდან ბევრი საინტერესო წიგნი გამომაქვს. ბოლოს წავიკითხე მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერ ფინის თავგადასავალი“. ტომ სოიერი ჩემი საყვარელი გმირია და ხშირად წარმოვიდგენ თავს მის ადგილას. მომეწონა ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, იგი მხიარულიც არის, სევდიანიც და საინტერესოც ახლა ვკითხულობ მარკ ტვენის „უფლისწულსა და მათხოვარს“. კითხვა ძალიან მიყვარს და მთელ ჩემს თავისუფალ დროს ვუთმობ. წიგნი ყველა სხვა გასართობს მირჩევნია.

### მარი ჩოგოვაძე, 9 წლის

ძალიან მიყვარს ზღაპრები, ბოლოს „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი“ წავიკითხე. მიყვარს ზღაპრები კეთილი ჯადოქრებით, რომლებიც ყოვლისშემძლენი არიან. „ჰარი პოტერში“ მომწონს ჯადოქრების სკოლა, სადაც მეც სიამოვნებით ვისწავლიდი და როცა ვკითხულობ, თავი ჰარი პოტერის მეგობრებს შორის წარმომიდგენია, მინდა მქონდეს მისნაირი უჩინმაჩინის მოსასხამი. ასევე მიყვარს ზღაპრები მეფის ასულებზე, ქალთევზებზე. ზღაპრებს ხშირად ვკითხულობ, მაგრამ მაინც მულტფილმების ყურება და კომპიუტერზე და მეგობრებთან თამაში მირჩევნია.

**მოამზადა ქეთი ჩოგოვაძემ**

# ნიშანნი ხარისხისა და პატივისანი

სამეფო კვართიანის (საქართველოსი)

პირობითი, სიმბოლური გამოსახულება, რომელიც მინიჭებული აქვს სახელმწიფოს, ქალაქს, საგვარეულოს და ა.შ. — ასეა ახსნილი „გერბის“ მნიშვნელობა განმარტებით ლექსიკონში. ახლა ვნახოთ როგორ განმარტავს ამ სიტყვას თავის „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილი: „ღერბნი არიან ნიშანნი ხარისხისა და პატივისანი, წარმოდგენილნი ფერებითა და ნაკვეთებთაგან ფარსა ზედა ანუ გულსა ზედა ღერბისა განსხვავებისათვის გვართა ანუ შთამომავლობათა და საკუთართა ადგილთა და ქვეყნიურობისათა“.

ჰერალდიკა, მეცნიერება გერბების შესახებ, ამბობს, რომ პირველად გერბები ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში გაჩნდა და მათი დანიშნულება იყო დახმარებოდა თავით ფეხებამდე რკინის საჭურველში ჩამჯდარ მხედრებს შორიდანვე ეცნოთ ერთმანეთი. უთუოდ ამიტომ გამოირჩეოდა იმდროინდელი გერბები უბრალოებითა და სიცხადით. მათზე უპირატესად პატრონთა ფიგურები იყო აღბეჭდილი. თითქმის იმავდროულად გაჩნდა გერბზე მითოლოგიიდან თუ ცხოველთა სამყაროდან აღებული ფიგურები — მარტორქა, ურჩხული, არწივი, ლომი, ჯიქა, დათვი...

გერბები გამოისახებოდა დროშებზე, ბეჭდებზე, მონეტებზე, იარაღზე, წიგნებზე, ნაგებობებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე. არსებობდა სახელმწიფო, სამიწაწყლო, საგვარეულო გერბები. საკუთარი გერბები ჰქონდათ ქალაქებს, პროვინციებს, ამქრებს...

ფეოდალური ხანის ჰერალდიკაში ყველაზე ხშირად არწივის და ლომის გამოსახულება გვხვდება. მერე და მერე ეპოქის სტილის, გემოვნების, მოთხოვნილების შესაბამისად იცვლებოდა გერბებიც. წარსულს ჩაბარდა რაინდთა ბატალიები და ტურნირები. ფუფუნებით გამორჩეული აბსოლუტიზმის ეპოქაში გერბები უგემოვნო, უაზრო, არაფრისმთქმელი დეტალებით გადაიტვირთა. მერე რევოლუციების ხანა დადგა და ჰერალდიკაშიც ახალი ფორმები, ახალი ფიგურები გაჩნდა, ასე იყო შემდგომშიც...

საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა საგერბო გამოსახულებები. ჩვენამდე მრავალმა სხვადასხვა ემბლემებიანმა საბეჭდავმა მოაღწია, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას გიორგი მესამისეული

საქართველოსი

წმინდა გიორგის გამოსახულებიანი სახელმწიფო ოქროს ბეჭედი იქცევს. საგერბო ნიშნებს დროშებზეც გამოსახავდნენ. საინტერესოა ვახტანგ მეექვსეს დროშაზე გამოსახული ბაგრატიონთა გერბის ემბლემები. თავთავისი გერბები ჰქონდათ საქართველოს სამთავროებს, ქალაქებს, საგვარეულოებს. რაღა თქმა უნდა, არსებობდა ერთიანი საქართველოს გერბიც. ერეკლე მეფისდროინდელ საქართველოს სახელმწიფო გერბზე ცენტრალური ადგილი ქრისტეს კვართს უკავია. ქართულ ჰერალდიკურ სიმბოლიკაში ქრისტეს კვართი იმდენად მნიშვნელოვან სიმბოლოდ ითვლებოდა, რომ მეფის გარდა,



ქართლის

სვანთა

ები). გერბზე გამოსახული კიდევ ერთი სიმბოლო: მეფსალმუნე დავით მეფის ქნარი და მისეული შურდული იმაზე მიანიშნებს, რომ ბაგრატიონები ბიბლიური დავითის შთამომავლები არიან. გთავაზობთ შუა საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების გერბებს.

მისი გერბზე გამოსახვის უფლება მხოლოდ მუხრან ბატონებს ჰქონდათ და სხვას არავის. კვართის გარშემო შემოვლებული წარწერა განმარტავს, რატომ ენიჭებოდა ქრისტეს კვართის გამოსახულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ცენტრალური ფარი ორ ლომს უპყრია (სიძლიერის სიმბოლო) ფარის ზემოთ სამეფო გვირგვინია, გვირგვინის ქვეშ კი გადაჯვარედინებული ხმლები და სკიპტრა (საერო და სამხედრო ძალაუფლების სიმბოლო-

კახეთის

# ეცნაური კავშირები

კიმანის კანზე მარილის ნაფიფქი უგროვდება ხოლმე და პეპლები ამით სარგებლობენ.



პატარა ჩიტები ხარიქქიები მწმენდავებად მუშაობენ, ოღონდ მათ უფრო სერიოზული კლიენტები ჰყავთ — ნიანგები. როგორც კი ნიანგი ხახას დაღებს, ხარიქქია უშიშრად შეხტება შიგ და მუშაობას იწყებს, ნიანგი პირს არ ხურავს და მოთმინებით იცდის, როდის დაამთავრებს ციცქნა ჩიტი მისი კბილების გაწმენდას ჩარჩენილი საჭმლისგან, ხარიქქია უფასო სადილს ღებულობს, ნიანგი კი — სუფთა კბილებს.

**ველურ ბუნებაში ცხოვრება სასიფათო და ძნელია. ცხოველებს უჭირთ საჭმლის მოპოვება ისე, რომ უვნებლად გადარჩნენ, მათი ყოველდღიური ცხოვრება არსებობისთვის ბრძოლაა. ზოგი ცხოველი, მარტო რომ ვერ უმკლავდება ამას, სხვა სახეობების ცხოველებთან ამყარებს კავშირს. ასეთ კავშირებს სიმბიოზი ჰქვია. ცხოველები რომლებიც სიმბიოზს ქმნიან, ერთმანეთზე არიან დამოკიდებული.**

ბევრ ფრთოსანს საკვების მოსაპოვებლად მისი დიდხანს დევნა უხდება, იმის ნაცვლად, რომ მწერებს სდიოს, მეჭვავია დაასკუპდება ანტილოპას ან ზებრას და ტკიპებს და სხვა პარაზიტებს აშორებს. დიდებული კავშირია — ცხოველებს ზურგი აღარ ეფხანებათ, მეჭვავიას კი ქვეყნის საჭმელი აქვს. თეთრი ყანჩაც იმიტომ ტრიალებს ხოლმე ბეჰემოთებისა და მარტორქების სიახლოვეს, რათა როცა ეს ცხოველები მიწიდან ადგომისას უამრავ მწერს და ციცქნა ცხოველებს თუ ქვეწარმავლებს დააფრთხობენ, უშრომლად ჩაიტკბარუნოს პირი.

პატარა მწმენდავმა კრევეტებმა მშვენივრად ისწავლეს მარჯნის რიფების ბინადართა დახმარება. ისინი გამწმენდ სადგურზე (ასე უწოდეს ამ ადგილს მეცნიერება) იყრიან თავს და აქ შემოსული თევზების წმენდას იწყებენ. კრევეტი თავისი პატარა მარწუხებით აშორებს თევზს ყოველივე ზედმეტს: მკვდარი კანის ნაწილებს, საკვების ნარჩენებს. თევზი სუფთავდება, კრევეტი კი იმით ნაყრდება, რაც თევზს უშლის.

# გაწონასწორებული ხარ თუ არა?

## ტესტი თინეიჯერებისთვის

**1. ვთქვათ, პარკში ან სკვერში სკამზე ჩამოჯექი და ქუდი გვერდით დაიდე. ამ დროს ვიღაც ბიჭი (გოგო) მოდის და ქუდს აჯდება. შენი რეაქცია?**

ა) ერთს დავუღრიალებ: „დაბრმავდი, თუ რა არის?“

ბ) ვეტყვი, ჩემი ქუდი სავარძელი არ არის-მეთქი.

გ) ვთხოვ, ადგეს.

**2. მეგობრებთან ერთად წასვლას და უცბად მშობლები გეუბნებიან, ბებია ავად გამხდარა და წამალი უნდა წაულოო. შენი რეაქცია?**

ა) „წავიღებ, რაზეა ლაპარაკი“.

ბ) „აუჰ, სულ ასეა რა, კაიფი უნდა ჩამიშალონ“.

გ) „არაფერი არ ვიცი, მე ჩემი გეგმები მაქვს“.

**3. დაბადების დღეზე მოტანილ საჩუქრებს თვალიერებ და ანაზღად ახალთახალი პლეიერი იატაკზე გივარდება. პლასტმასი გაიბზარა. შენ...**

ა) ვიხსენებ, სად აქვს შენახული მამას უნივერსალური წებო.

ბ) გაოგნებული ვარ და ვერ ვაზროვნებ.

გ) გაგულისებული ფეხს ამოვკრავ პლეიერს.

**4. კალათბურთის თამაშის დროს საუცხოო პასით ბურთს ფარის ქვეშ მდგომს აწვდი. მან ააცილა. შენ ეუბნები:**

ა) „უჰ, შე ბოთე!“

ბ) კბილებს გავაღრჭიალებ, მაგრამ არაფერს ვეტყვი.

გ) „ეგ არაფერი, ცხვირი არ ჩამოუშვა! სულ ერთია — ვიგებთ!“

**5. გამოცდაზე ისეთი საკითხი შეგხვდა, რომლის „შპარგალკაც“ არა გაქვს, არადა მთელი ღამე წერდი „შპარგალკებს“... შენ**

ა) ვეცდები რამე მაინც გავიხსენო.

ბ) გავბრაზდები და საერთოდ არ გავალ საპასუხოდ.

გ) ალბათ ავტირდები...

**6. ავტობუსს მისდევდი, მაგრამ კარი შენ ცხვირწინ დაიხურა!**

ა) გავბრაზდები და მძღოლს მუშტების ქნევით დავემუქრები.

ბ) შემდეგ ავტობუსს დაველოდები.

გ) გავიფიქრებ, ფეხით ხომ არ გავისეირნო-მეთქი?

**7. პაემანი გაქვს გოგოსთან (ბიჭთან), მან კი 45 წუთით დაიგვიანა. მის დანახვაზე შენ...**

ა) გახარებული შეევეგები: „მადლობა ღმერთს, გამოჩნდი!“

ბ) დაბოღმილი ავხედ-დავხედავ.

გ) მივახლი, მთელი სალამო გამიფუჭე-მეთქი!

**8. ახალი ტანსაცმელი გაცვია და ქუჩაში მიდიხარ. გამვლელმა მანქანამ ჭუჭყიანი წყალი შეგასხა და თავით ფეხამდე დაგსვარა. შენი რეაქცია?**

ა) სახლში წავალ და ტანზე გამოვიცვლი.

ბ) ქვას ავიღებ და მანქანას მივაყოლებ!

გ) ვეცდები იუმორით შევხედო საკუთარ მდგომარეობას.

**შედეგები**

| კითხვა | პასუხი |
|---|---|
| 1 | ა ბ გ |
| 2 | 0 3 6 |
| 3 | 3 6 0 |
| 4 | 0 3 6 |
| 5 | 3 6 0 |
| 6 | 6 0 3 |
| 7 | 3 0 6 |
| 8 | 0 3 6 |

**დააჯამე შენი ქულები და შედეგს შეადარე:**

**0-21 ქულა**

უმართავი ტემპერამენტის ადამიანი ხარ. ასეთებზე ამბობენ, ფეთქებადი ხასიათი აქვსო. ემოციებს ვერ იმორჩილებ და მარტო სხვებს კი არ აწუხებ, საკუთარ თავსაც ვნებ. ეცადე, თავის ხელში აყვანა ისწავლო თუნდაც იმიტომ, რომ ნერვული უჯრედების აღდგენა შეუძლებელია.

**24-33 ქულა**

გაწონასწორებული ტემპერამენტის ადამიანი ხარ. ამასთან იუმორისა და თვითირონიის გრძნობაც გაქვს. ეს შესანიშნავია, იმიტომ რომ სხვადასხვა უსიამოვნო სიტუაციების დაძლევაში გეხმარება. შესაშურად თავდაჭერილი ხარ, დიდებულად ფლობ საკუთარ თავს.

**36-48 ქულა**

შენნაირებს ფლეგმატურებს ეძახიან. შენი წონასწორობიდან გამოყვანა შეუძლებელია. რაც უნდა ხდებოდეს ირგვლივ, შენ გულგრილი რჩები. ეს მთლად კარგი არ არის, — შენ გვერდით მყოფთ ზოგჯერ სურთ დარწმუნდნენ, რომ საქმე აქვთ ცოცხალ ადამიანთან, რომელსაც გრძნობები გააჩნია.

# კონკურენცია ძლიერდება

**წარმოგიდგენთ ქ. რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ გივი მუმლაძეს.**

**დაამთავრა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი, მუშაობდა რუსთავის №16 პროფსასწავლებელში პედაგოგად, პროფტექ. განათლების სახელმწიფო კომიტეტის ზონალურ სამმართველოში უფროს ინსპექტორად, უფროსის მოადგილედ, პროფ. ტექ. განათლების რუსთავის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, რუსთავის განათლების განყოფილების უფროსის მოადგილედ. რუსთავის №22 სკოლის დირექტორად. რუსთავის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1995 წლიდან რუსთავის №17 სკოლის დირექტორია.**

ბატონ გივი მუმლაძისთვის პედაგოგობა მოწოდება, საგანმანათლებელო საქმიანობა კი ცხოვრების განუყოფელი ნაწილად იქცა. რუსთავის №17 სკოლაში იმ პერიოდში დაინიშნა დირექტორად, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო ქალაქის სკოლების კონტინგენტის რიცხოვნობის საკითხი განსაკუთრებით მწვავე იყო, მაგრამ ამ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 750-ს მაინც აღწევდა. ახალმა დირექტორმა კარგად უწყოდა, რომ ამ კონტინგენტის შენარჩუნება, შემდგომ კი გაზრდა პირველი რიგის ამოცანათაგანი იყო და მის გადასაჭრელად სკოლის ცხოვრებაში სიახლეების დანერგვა გადაწყვიტა. ერთ-ერთ ასეთ სიახლედ მან სკოლაში გერმანული ენის გაღრმავებული სწავლების დანერგვა მიიჩნია და ძალისხმევაც აქეთკენ მიმართა. საქმეში ჩართო განათლების სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის სამსახური, გერმანიის საელჩო და მალე გერმანული ენის სწავლების კოორდინატორის, დოქტორ ერიკ რაბეჯის დახმარებით შესაძლებელი გახდა სკოლაში გერმანელი პედაგოგი ჰანერ ბერის მოწვევა, ბატონმა ერიკმა ოთხი წელი იმუშავა რუსთავის მე-17 სკოლაში და საფუძველი ჩაუყარა გერმანულის გაძლიერებულ სწავლებას. შემდგომი საფეხური გერმანიის მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციასთან ურთიერთობის დამყარება იყო, 2000 წლიდან გაცვლითი პროგრამაც ამოქმედდა, რომელიც დღესაც წარმატებით მუშაობს. გერმანიაში სასწავლებლად წასვლა 15 წლის ასაკიდან ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ვინც წარმატებით გაივლის შესარჩევ ტურს, სხვებთან ერთად ამ პროგრამაში ბატონი გივის შვილმა, მაიამაც მიიღო მონაწილეობა, ამასთან სრულიად დამსახურებულად და წარმატებასაც მიაღწია, ახლა ის მეუღლესთან, მიშა ყანბეგაშვილთან ერთად ჰანოვერის უნივერსიტეტში სწავლობს. 2000 წლიდან დღემდე სკოლამ 16 მოსწავლე გაგზავნა სასწავლებლად. წელს მეთერთმეტეკლასელი სალომე გურჩიშვილი და გია თინიკაშვილი წავიდნენ შვეიცარიაში და იქ სწავლობენ. ეკა ამირანაშვილი, ლაშა ბატიაშვილი კი უკვე დაბრუნდნენ. ამჯერად ლაშა ბატიაშვილი (უმცროსი) ემზადება შესარჩევ ტურში მონაწილეობის მისაღებად. დაგვეთანხმებით, ეს ტრამპლინია წარმატებული კარიერისაკენ.

**—ალბათ ეს არის უმთავრესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების არჩევანს — ისწავლონ ამ სკოლაში...**

—რა თქმა უნდა, თუმცა, არა მარტო ეს... უპირველეს ყოვლისა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვლენებს მივყვე — სახელმწიფოს ზრუნვის შედეგად სხვადასხვა პროგრამის ჩარჩოებში სკოლა თანამედროვე დონეზე გარემონტდა: გადაიხურა ჭერი, შეიცვალა წყალგაყვანილობა, საკანალიზაციო სისტემა, კარ-ფანჯარა, გაკეთდა ხელოვნურსაფარიანი მოედანი, მივიღეთ კომპიუტერებიც. ყოველივე ამისთვის ჩვენი პედკოლექტივი, მოსწავლეები და მათი მშობლები დიდ მადლობას ვუხდით განათლების სამინისტროს, პირადად მინისტრს, ბატონ კახა ლომაიას.

ჩვენს სკოლაში ყველა პირობა ცოდნის მისაღებად, თუმცა, კონკურენცია თანდათან ძლიერდება, განსაკუთრებით ვაუჩერების შემოღების შემდეგ, ამას არაქართულ სკოლებში ქართული სექტორის გახსნაც დაერთო და უბნის მოსწავლე



ახალგაზრდებიც სურვილისამებრ გადანაწილდნენ, მაგრამ ჩვენ 700-მდე მოსწავლეს მაინც ვინარჩუნებთ. კონტინგენტის გაფართოებას ენერგიული შრომით ვცდილობთ. სკოლა ერთიცელიანია და მეორე ცვლა მთლიანად დატვირთულია დამატებითი გაკვეთილებით. გვყავს მაღალკვალიფიციური კადრები, გერმანიაში სტაჟირებული პედაგოგები: თეა გარსევანიშვილი, თეა თათარაშვილი, მაგული მიმინოშვილი, ხათუნა გოგოლაძე, ქეთინო ხიდაშელი, მაია პაპალაშვილი. მათ გვერდით არიან ასევე ენერგიული პედაგოგები: თინიკო რიეამაძე, მეგი ბარბაქაძე, ნატო ბაღაშვილი, ნანა კუჭუხიძე, მაღონა კიკაჩეიშვილი, მაია გეგეჭკორი, ხათუნა სვანი, ქეთინო გველესიანი და სხვები.

**—სკოლის ბიბლიოთეკას თუ სწყალობენ თქვენი მოსწავლეები?**

—ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესოა. საქართველოს მასშტაბით სასკოლო ბიბლიოთეკებს შორის ჩატარებულ კონკურსში მან III ადგილი მოიპოვა, რაც ჩვენი ბიბლიოთეკარის, ნათელა გრიგალაშვილის დამსახურებაა. აბა, როგორ შეიძლება ასეთ ბიბლიოთეკას მოსწავლე არ სწყალობდეს.

**—ბატონო გივი, ქვეყნის ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება პროფტექნიკური სწავლების ახალი ფორმით დანერგვის შესახებ. თქვენ რა აზრის ხართ საერთოდ პროფტექნიკასწავლებლებზე?**

—ჩვენი ქალაქის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მას შემდეგ, რაც გაჩერდა ისეთი გიგანტი საწარმოები, როგორიც მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური ბოჭკო და სამშენებლო ტრესტია, პროფესიულმა სასწავლებელმა ფუნქცია დაკარგა. დღეს მცირეა იმ სპეციალობათა ჩამონათვალი, რაც მომსახურების სფეროს ან მინიწარმოებას სჭირდება და იქაც სასურველ კადრებს ადგილზევე ამზადებენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პროფესიული სწავლების აღორძინების მიზნით რუსთავის №3 პროფესიული სასწავლებლის ბაზაზე გახსნილია პროფესიული გადამზადების ცენტრი. ჩემი აზრით, ვიდრე არ აღმაურდება ქარხნები და არ დაიტვირთება მთელი სიმძლავრით, პროფსასწავლებელი თავის ფუნქციას ვერ დაიბრუნებს. ამის აუცილებლობას კი მჯერა, დრო მალე მოიტანს.

**—მართალია, რუსთაველს უთქვამს „ლეკვი ლომისა სწორიაო“, მაგრამ მაინც როგორ გიაზრებთ მამაკაცის როლს სკოლაში?**

—გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს 70-კაციან პედაგოგიურ ლექტივში მხოლოდ ოთხი მამაკაცი ვართ. მორალურად ეკანსაღი თაობის აღზრდაში, მოსწავლე ვაჟებში მამაკაცური თვისებების ჩამოყალიბებაში მამაკაცი სკოლაში დიდ როლს თამაშობს. მოსწავლე ვაჟები ხშირად ბაძავენ მათ. ქალი პედაგოგების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მამაკაცი სკოლაში მაინც სხვა დატვირთვის მატარებელია. ეს დისბალანსი გამოწვეულია შრომის დაბალი ანაზღაურებით, ოდითგან ასე იყო — მათ არასდროს ჰქონიათ ისეთი ხელფასი, ოჯახს რომ შეინახავდა, მამაკაცი, რომელიც სკოლაში მუშაობს — დირექტორია თუ პედაგოგი, მნეა თუ დარაჯი — მას საკუთარი ხელფასით უნდა შეეძლოს ოჯახის რჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მამაკაცს სკოლაში მუშაობის სურვილი აღარ ექნება. ჩემი აზრით, ამ საკითხზე სერიოზულად დაფიქრება გვმართებს.

**—მოახლოებულ დირექტორების არჩევნებს გვერდს ვერ ავუვლით...**

—არჩევნებს მივესალმები, სკოლას გადახალისება, გაახალგაზრდავება ნამდვილად სჭირდება, თანამედროვე მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს დირექტორიც და პედაგოგიც. ვფიქრობ, დირექტორების არჩევითობა და პედაგოგთა გადამზადებაც ამ მიზანს ემსახურება.

ესაუბრა
**მანანა ჯანგირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ენის ზეიმი

რუსთავის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კათედრამ ჩაატარა ი. გოგებაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება „ბურჯი ერისა“ – ქართული ენის ზეიმი. იმ დღეს მშობლებისა და კლასის დამრიგებლების დახმარებით მოეწყო საშემოდგომო გამოფენა-გაყიდვა. გრძლად გაშლილი მაგიდა ვერ იტევდა ხილით სავსე კალათებს, თვალს იტაცებდა ათასგვარი ნუგბარი. ფოთოლცვენის თბილი პალიტრით აელვარებულ სუფრას ამშვენებდა ხელნაკეთი სუვენირები, თავს იწონებდა გოგრის სასანთლე, ჟურნის აკიდო, გირჩის საყვავილე და ბოსტნეულის თაიგული – ეს ყველაფერი პატარების ფანტაზიის ნაყოფი, სილამაზის და სიკეთის თავისებური ხედვა იყო. ბარაქა კალთადაფერთხილ კუთხეში იწვებოდა მწვადი, ცეცხლზე შემომდგარ ქვაბში დუღდა თათარა, რომელიც მოუთმენლად ელოდებოდა თხილისა და ნიგვზის ასხმებს, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები კი ღვინით სავსე ფიალებით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს, რომლებსაც ღიმილი არ შორდებოდათ სახეზე, ისმოდა „მრავალჟამიერი“. ლამაზ დაწყებას არანაკლებ ლამაზი გაგრძელება მოჰყვა, სააქტო დარბაზში გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ყველა დაწყებითმა კლასმა. წარმოდგენილი იქნა მონტაჟები ი. გოგებაშილის „დედა ენაზე“, სიმღერები და მიუზიკლები დიდი იაკობის ნაწარმოებების მიხედვით. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა III ა კლასის მიუზიკლმა „მზე და წვიმა“ (ხელ. ლია ზედგინიძე), IVბ კლასის მიუზიკლმა „ვანო და ფრინველები“ (ხელ. მ. კანდელაკი), მონტაჟმა გოგებაშვილის შესახებ IIგ კლასი (ხელ. მ. ნოზაძე), IVა კლასი (ხელ. ცირა დოლიძე). ღონისძიების ბოლო ნაწილი დაეთმო საქართველოს თემას. შესრულებული იქნა სიმღერები და ლექსები. მოწონება დაიმსახურა Iბ კლასის მოსწავლის, ჯამალაშვილის მიერ შესრულებულმა სიმღერამ „ხმალი ავლესოთ ქართველებო, ხმალი ავლესოთ“, ბოლოს ყველა მოსწავლემ ერთად შეასრულა საქართველოს ჰიმნი. ღონისძიება იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ მოწვეულ სტუმართა შორის გახლდათ სოფელ ქესალოს საჯარო სკოლის დირექტორი ბატონი კაზანბარ გულამოვი და პედაგოგები. ამ აზერბაიჯანული სკოლის I-II კლასებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს და ამ ჯგუფის ძალებით პედაგოგის მანანა კიკაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა ი. გოგებაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენი სკოლის ზეიმს. სკოლის დირექტორის, ქალბატონ ბელა ჯანგიძე-გოცირიძის ინიციატივით ორ სხვადასხვაენოვან სკოლას შორის მეგობრობას ერთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. ზეიმზე მოწვეულები იყვნენ ქალაქის საკრებულოს წევრი ლეილა აფციაური, განათლების პროფესიული კავშირების თავმჯდომარე ლეილა გორგაძე, რესურსცენტრის ხელმძღვანელი თინათინ დეკანოსიძე.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ ქალბატონმა ბელამ წარმატება მიულოცა ბავშვებს, რომლებსაც სიხარულისგან თვალები უბრწყინავდათ, მადლობა გადაუხადა სასწავლო ნაწილის მოვალეობის შემსრულებლებს ნატო ლეკვეიშვილსა და ელენე ბიწაძეს, დაწყებითი კლასების კათედრის თავმჯდომარეს ლ. კუცას, მუსიკის პედაგოგს ი. გაგნიძეს, ყველა დამრიგებელს, მშობლებს და სტუმრებს.

ბატონმა კაზანბარმა ქართულ ენაზე გადაუხადა მადლობა ზეიმის მომწყობებსა და მონაწილეებს, უსურვა ბავშვებს ყოველივე კარგი, სკოლას კი საჩუქრად გადასცა ორიგინალური ორნამენტებით შემკული ლარნაკი ყვავილებით და ქართული სასმისების კომპლექტი – ქართველთა სიამაყის, ვაზის კულტურის სიმბოლო.

გამოფენა-გაყიდვაში აღებული თანხა შეწირულობით გადაეცა სკოლის სამლოცველო ოთახს.

**ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლის ჟურნალისტი ეკა პაპაშვილი**

# ოდესღა

—მინდა ჩემი ჰობი ჩემს პროფესიად იქცეს, — ამბობს ქეთი, რომელიც თავისუფალ დროს ხელოვნების ნიმუშებს ქმნის. მისი ნაკეთობები მრავალფეროვანი მასალითაა დამზადებული, ესაა: ქათმის ფერადი ბუმბული, მცენარე, ძძივი... პირველ კლასში ქეთის „სოფლის ეზო“ დაუხატავს და მის პედაგოგს ეთერ აბრამიშვილს ისე მოსწონებია, ადგილობრივი გაზეთისათვის მიუწოდებია. ასე შედგა მისი დებიუტი გაზეთ „მოძღვარში“.

ქეთი გორიაშვილი რუსთავის №21 საჯარო სკოლის (დირ. გ. აბესაძე) მეთერმეტეკლასელია (კლ. ხელმძღვანელი ლ. ლონდაძე) მისი ნიჭიერება არც მის პედაგოგებს, შრომის მასწავლებელს ლელა გურულს, ნინო გავაშელს, თამუნა ქობულიას დარჩენიათ შეუმჩნეველი, მაგრამ მის გარშემომყოფთაგან ბევრს არ უნახავს მისი ნახელავი. თუ ოჯახში ესტუმრებით, კედლიდან მომზირალ ნამუშევრებში ბევრ საინტერესოს ამოიკითხავთ. როგორც თვითონ ამბობს, მას ეს ნიჭი გენებით მოსდგამს. კერვა, ქსოვა, ქარგვა, ხატვა, ჭედურობა ქეთის საყვარელი საქმიანობაა.





ახლა ქეთი ერთვნული გამოცდებისთვის ემზადება, მაგრამ საყვარელი საქმისთვის დროს ყოველთვის პოულობს.

---

## შემოდგომის დღე

შემოდგომის დღე...
დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი,
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირხევა გაძარცული ტყე...
შემოდგომის დღე!

**ზურაბ ლომიძე,**
**ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლა, IV კლასი**

## გველეშაპი და ბიჭი

ერთხელ გველეშაპმა ბიჭის დედა მოიტაცა. ბიჭი დედის დასაბრუნებლად ერთ კაცთან მივიდა და დახმარება სთხოვა. იმ კაცმა რაღაც-რაღაცები ასწავლა და თან ჯადოსნური ფარი და ხმალი მისცა. ბიჭი გველეშაპის გამოქვაბულში შევიდა და უთხრა, გამოდი და თან დედაჩემიც გამოიყვანეო. გველეშაპმა უპასუხა: — ჯერ მე დამამარცხე და მერე რაც გინდა, ის ქენიო. ბიჭი საჩხუბრად მოემზადა, ამოიღო ხმალი და ფარი და გველეშაპს უთხრა მოდი, მეჩხუბეო! გველეშაპი სამთავიანი იყო და ეგონა ყველას დაამარცხებდა, მაგრამ ამაოდ. ბიჭმა ჯერ ერთი თავი მოსჭრა და მერე მეორე, მესამე და სული გააფრთხობინა. ბიჭმა გაათავისუფლა დედამისი და გველეშაპის მეირფასი ოქროულობით მორთულ გამოქვაბულში დასახლდნენ.

**თაზო ჯიქია,**
**ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლა, III კლასი**

## ფრინველთა მეფე

ფრთა გაიშალა უზარმაზარი,
ცაში აფრინდა ფრინველთა მეფე,
ავარდა ზეცას ცეცხლმოდებული
და ბრიალა თვალს ტყეს არ აშორებს.
კურდღელს, შველსა და ირემს დაეძებს,
კლანჭი მზადაა, თვალი ბრიალებს,
არწივის ფრთები ელავენ ცაში,
როგორც ტალღები ბობოქარ ზღვაში.
დაჭრის, თან კივის: ჰეი, გეშინოდეთ
მე არწივი ვარ, დავქრივარ ცაში.

**გიორგი ქართველიშვილი,**
**ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლა, VII კლასი**

## შემოდგომა

შემოდგომა დადგა,
ყვავილები დაჭკნა,
ხეებს, ბუჩქებს, მინდორ-ველებს
ოქროსფერი დაჰკრავს,
თითქოს ვიღაც მხატვარი
ოქროსფერად ხატავს.

**ალექსანდრე ლონტი,**
**ქ. რუსთავის მე-2 საჯარო სკოლა, III კლასი**

# პოეზიის მარგალიტები

## გრიგოლ აბაშიძე

### შვიდასი წელი

(კოხტასთავის შეთქმულებს)

მე ჯერ ქაოსი მერტყა წყვდიადად,
თქვენ რომ გეხვიათ მზეზე ფუტკარი,
მე შვიდასი წლით დამაგვიანდა,
თქვენს შეთქმულებას ვერ მოვესწარ.,
მე მანც ვიყავ თქვენთან შეთქმული,
თქვენკენ ეხილავ ცეცხლად დაძრული,
მე გაჩენამდე თქვენ ერთგული,
თქვენკენ მოვქრილი ხელგაბაწრული.
თქვენ კი იტანდით ტანჯვას ზვიადად,
თუმცა გერჩიათ გულში ისარ...
მე შვიდასი წლით დამაგვიანდა,
იმ წამების დროს ვერ მოგისწარით.
მაგრამ არ არის დრო გამთიშველი
მათთვის, ვინც იყო ქვეყნის ერთგული,
მე თქვენს ლანდებთან მოვალ შიშველი,
არყოფნის ჟამსაც თქვენთან შეთქმული,
რომ თქვენებრ მწვავდეს მზე თქვენი მწველი,
თქვენებრ მესიის მზეზე ფუტკარი,
რომ ვთქვა: წამს ჰგავდა შვიდასი წელი,
მოვალ, წამებს მეც მოვუსწარ!

### ერთი მუდარა

მე ყვავილების გიჟი დამარქვან,
მე ამისრულონ ერთი მუდარა:
მე მინდა ტყემლის ჩრდილში დამარხვა,
ტყემლის ყვავილის თეთრი სუდარა.
მე დავეცემი, მოვიღებ ლაწანს,
თუ ცეცხლზე დამწვან განმარტოებით—
ატმის ყვავილის კოცონზე დამწვან,
ან გამიჩალონ ყაყაჩოები.
მაშინ შავ ცხენზე შავი ნაბადით
ამხედრებული, როგორც იბერი,
მე ზამბახების თრთების თარეატით
ცისკენ კვამლივით წავალ ცისფერი.
მე ყვავილების გიჟი დამარქვან,
მე ამისრულონ ერთი მუდარა:
მე მინდა ტყემლის ჩრდილში დამარხვა,
ტყემლის ყვავილის თეთრი სუდარა.

# შაჩადიშლი სახელები

# ჩარლი ჩაპლინი

ჩარლი ჩაპლინი ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უდიდეს ადამიანად და გამორჩეულ ხელოვნად არის აღიარებული. ჩაპლინი კინოში მაშინ მოვიდა, როცა ეს ხელოვნება ის-ის იყო დაიბადა და ენა ჯერ არ აეღგა. მოვიდა და თან მოიტანა სიცილი, იცინოდნენ არა მარტო მისი ფილმების სანახავად მოსული მაყურებლები, არამედ მსახიობებიც გადაღებების დროს. მაგრამ ერთხელ ჩარლიმ დაინახა, რომ ერთი ხანდაზმული მსახიობი ქალი მისი თამაშის შემსედვარე იცინოდა და თან ტიროდა, და მაშინ მან თქვა: ამ ქალმა დადასტურა ის, რასაც მე დიდი ხანია ვგრძნობდი, მე მარტო სიცილის კი არა, ცრემლების გამოწვევაც ძალმიძს.

ამ უნიჭიერეს ადამიანს ხელეწიფებოდა ყველაფერი, რაც კინოფილმის შესაქმნელად იყო საჭირო – იგი დიდებულად თამაშობდა, წერდა სცენარებს, მუსიკას, იყო რეჟისორი. მაგრამ მთავარი მაინც იმ ჩარლიში იყო, რომელსაც მაყურებელი ეკრანზე ხედავდა.

გაიხსენეთ მისი „ბიჭუნა“, „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, „მაწანწალა“, „თავგადასავლების მაძიებელი“, „პილიგრიმი“, „ოქროს ციებ-ცხელება“ – თითოეული ეს ფილმი კინოხელოვნების მარადიულ შედევრად არის აღიარებული. მათი შექმნიდან ცხრა ათეულამდე წელია გასული, მაგრამ მისი სცენარით, მისი რეჟისურით, მისი მონაწილეობით გადაღებული და ჩარლის მუსიკით გაფორმებული კინოსურათები დღესაც მილიონობით მაყურებლის ისეთივე თავშეუკავებელ სიცილს იწვევს, როგორც მაშინ, თქვენი ბებია-პაპების და მათი მშობლების ახალგაზრდობის წლებში. უხსენეთ მათ ჩარლი ჩაპლინის სახელი, ან უთხარით, რომ ამ დღეებში ტელევიზიით მისი ერთ-ერთი ფილმი უნდა აჩვენონ და ნახავთ, როგორი ღიმილი აუთამაშდებათ მათ სახეზე. ამ დიდმა მსახიობმა მთელი თავისი შემოქმედებით დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება უკვდავია.



## ცხოვრების ლირსშესანიშნავი თარაღები

1896 წელი – ლონდონის გარეუბანში არსებულ ობოლთა თავშესაფარში ორი ძმა მიიღეს: 11 წლის სიდნეი და 7 წლის ჩარლი. მათი დედა სულით ავადმყოფთა თავშესაფარში იმყოფებოდა, ვალოთებულ მამას კი ოჯახი დიდი ხნის მიტოვებული ჰქონდა.

1901 – ჩარლი თეატრში მიიღეს.

1913 – გასტროლები ამერიკაში და მიწვევა კინოში გადასაღებად.

1914 – ჩაპლინის პირველი ფილმის „ლუკმა პურისათვის“ გადაღება.

1915-1918 – ჩაპლინი იღებს ფილმებს „მაწანწალა“, „სამუშაო“, „სადამი მიუზიკლ-ჰოლში“, „ავანტიურისტი“, „წყნარი ქუჩა“, „ბიჭუნა“,

1923-1928 – მსოფლიო კინემატოგრაფიის შედევრებად აღიარებული „ოქროს ციებ-ცხელება“, „პარიზელი ქალი“, „ცირკი“.

1931-1935 – „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და „ახალი დროება“.

1940 – ანტიფაშისტური სატირით გაჟღენთილი „დიდი დიქტატორი“.

1947 – მამხილებელი ფილმისთვის „მუსიე ვერდუ“ აშშ-ში ჩაპლინის დევნა იწყება, „რამპის ჩირაღდნების“ შემდეგ კი 1952 წელს იგი იძულებული გახდა დატოვებინა ჰოლივუდი და აშშ.

1953 – ჩაპლინი ოჯახითურთ შვეიცარიაში სახლდება.

1954 – ჩარლი ჩაპლინს მშვიდობის საერთაშორისო პრემია მიენიჭა.

1977 წლის 25 დეკემბერს ჩარლი ჩაპლინი გარდაიცვალა.



# მაინც ვინ მოიგონა ტელეფონი?

ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ ტელეფონის გამომგონებელი, ტელეფონისა რომლის გარეშეც დღევანდელი ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია, ალექსანდრ ბელი კი არ არის, არამედ ანტონიო მეუჩი. იმისათვის, რათა ჭეშმარიტებას ეზიმა და ტელეფონის ნამდვილი გამგონებლის ვინაობა დადგენილიყო, ტელეფონის შემქმნელი ინჟინრის გარდაცვალებიდან 113 წელი გახდა საჭირო. მოელი ეს ხანი მისი პრიორიტეტის აღიარებას დაჟინებით ითხოვდა აშშ-ში იტალიელთა დიასპორა – ანტონიო მეუჩიც ხომ მათი თანამემამულე იყო და ამერიკაში XIX საუკუნის შუა წლებში ჩავიდა და დარჩა.

ამის მიღწევას ცდილობდა შეერთებული შტატების კონგრესმენთა დიდი ნაწილი და ბოლოს ჭეშმარიტება ოფიციალურად იქნა აღიარებული – კონგრესის მიერ მიღებულ და ოფიციალურად დამოწმებულ დოკუმენტში ტელეფონის ნამდვილი მამის ვინაობა ჩაიწერა – იტალიელი ინჟინერი ანტონიო მეუჩი. დიამახსოვრეთ ეს სახელი და გვარი.

ტელეფონის შექმნის იდეა ტოსკანელ გენიოსს მისი უსაყვარლესი ცოლის მძიმე ავადმყოფობამ უკარნახა. იმისათვის, რათა სარდაფში მუშაობისას მის საყვარ მეუღლესთან შეხმიანების შესაძლებლობა ჰქონოდა, ანტონიომ გამოიგონა აპარატი, რომლითაც მას შეეძლო მუშაობისგან მოუწყვეტლად ესაუბრა ლოგინს მიჯაჭვულ საყვარელ ქალთან სახლის მეორე სართულზე. ეს 1849 წელს იყო. 1860 წელს მეუჩიმ გადაწყვიტა ნიუ-იორკში გამომავალ ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში გამოექვეყნებინა „ტელეტროფონთან" (ასე უწოდა მან თავის გამოგონებას) დაკავშირებული ცდების შედეგები. 11 წლის შემდეგ, 1871 წელს, მაშინდელი წესით, გა-

რკვეული თანხის გადახდის შემდეგ ანტონიომ თავისი გამოგონების დროებითი პატენტი მიიღო, მაგრამ საკმარისი სახსრების უქონლობის გამო ტოსკანელმა ემიგრანტმა ოფიციალური განცხადების მოქმედების გაგრძელება ვეღარ შეძლო. ანტონიო ყველა ტოსკანელივით სტუმართმოყვარე და გულღია ადამიანი იყო. მისი სახლი ყოველთვის სავსე იყო მეგობრებით და როგორც გამოირკვა, მოშურნეებითაც, ვიღაცამ ურჩია, „ტელეტროფონის" იდეა სხვებისთვისაც გაეზიარებინა და მეუჩიმაც, რომელმაც ინგლისური რიგინად არ იცოდა, ხმის გადამცემი ხელსაწყოები სატელეგრაფო კომპანია „ვესტერნ იუნიონში" წაიღო. ფირმამ, რომელშიც ალექსანდრ ბელი მუშაობდა, აპარატები მიიღო, მაგრამ მალე განაცხადა, რომ დაკარგა ისინი და იტალიელს ფულის გადახდაზე უარი უთხრა. სამაგიეროდ, 1876 წელს მის გამოგონებაზე პატენტი ალექსანდრ ბელმა მიიღო. ამ ადამიანმა უბრალოდ სახელი შეუცვალა მეუჩის გამოგონებას და ტელეფონი უწოდა მას. გულუბრყვილო მეუჩიმ კი ვერ ისარგებლა თავისი დიდი გამოგონებით, რომელსაც შეეძლო უმდიდრეს კაცად ექცია იგი და სიღატაკეში დაამთავრა სიცოცხლე. მაგრამ სანთელ-საკმეველმა მაინც არ დაკარგა თავისი გზა და პრიორიტეტის საკითხი XIX საუკუნეშივე დაისვა. ამერიკელი ხელისუფალნი დიდხანს არკვევდნენ, მაინც ვინ იყო ტელეფონის ნამდვილი გამომგონებელი. 1887 წელს ბელს თაღლითობაში დასდეს ბრალი და გამოგონებაზე უფლებაც ჩამოართვეს, მაგრამ 1889 წელს მეუჩის გარდაცვალების შემდეგ საქმე დაიხურა. 1893 წელს მისი პატენტის ვადაც ამოიწურა. იმ დროისათვის მხოლოდ შოტლანდიელმა ბელმა წარადგინა განაცხადი ტელეფონის გამოგონებაზე. ასე მიითვისა ალექსანდრ ბელმა მაუჩის გამოგონებაც, წარმატებაც და დიდებაც. სამართლიანობის აღდგენის ინიციატივა იტალიური ფესვების ამერიკელ კონგრესმენს ვიტო ფოსელეს ეკუთვნის, მან ყველაფერი იღონა საქმის ბოლომდე მისაყვანად და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

# თოვლის პაპა, სნეგურორჩკა, სანტა კლაუსი, წმინდა მიკოლა და სხვები

რუსი თოვლის პაპა — დედ მოროზი 24 დეკემბერს ველიკი უსტიუგიდან ქალაქ კოსტრომაში ჩადის თავის შვილიშვილთან, სნეგურორჩკასთან (თოვლასთან) შესახვედრად, რა-

თა მერე მასთან ერთად შემოიაროს სრულიად რუსეთი და შობა-ახალი წელი მიულოცოს მის მოსახლეობას. პირველად კოსტრომაში თოვლის პაპა XIX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა და სოფლებისა და დაბების გვერდის ავლით მხოლოდ დიდ ქალაქებს ჩამოუვლიდა ხოლმე თავისი მარხილით. თოვლის პაპას სლავი წინაპრები — მოროზი, მოროზკო და სტუდენეცი ზამორის ყინვების მბრძანებლებად ითვლებოდნენ და მათ ან გრძელწვერა პატარა მოხუცად წარმოადგენდნენ, ან გოლიათ მჭედლად, მდინარეებს რომ ყინავდა. დროთა განმავლობაში ევროპელმა სანტა კლაუსმა რუსეთშიც ჩამოაღწია. მისი და მოროზის შეხვედრის შემდეგ დაიბადა დედ მოროზი, თოვლის პაპა, რომელიც მერე და მერე სულ გარუსდა, ფეხით სიარულს გადაეჩვია და ქვეყანაში სამოგზაუროდ სამცხენშებმული მარხილი — ტროიკა აირჩია. დედ მოროზს ხშირი ვერცხლისფერი თმა და ასეთივე წვერულვაში აქვს, რაც სიმდიდრის, სიძლიერისა და ბედნიერების სიმბოლოა. ბროლის ჯოხი, რომელიც მას ხელთ უპყრია, წყალსა და მთვარეზე მბრძანებლობის ნიშანია. ველიკი უსტიუგში კი რუსმა თოვლის პაპამ სულ რაღაც ხუთი წლის წინ დაიდო ბინა. დედ მოროზის გარდა, შვილიშვილით თავს სხვა ვერც ერთი თოვლის პაპა ვერ მოიწონებს, თუმცა სანტა კლაუსის, ფრანგი პერ ნოელის, ფინელი იოუულპუკის მსგავსად ისიც უშვილოა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, შვილიშვილი მაინც ჰყავს, მას სნეგურორჩკა ჰქვია და რუს თოვლის პაპას ის ყოველთვის თან დაჰყავს ხოლმე.

* * *

24 დეკემბერს, მას შემდეგ რაც მისის სანტა ქმარს ბოლო დარიგებებს მისცემს, ხოლო ელფები საშობაო საჩუქრებს ჩაულაგებენ, სანტა კლაუსი ჩრდილოელ ირმებშებმულ მარხილში ჩაჯდება და გზას დაადგება. ირმებს წინ წითელცხვირა რუდოლფი მიუძღვით და ისინი მიწაზე კი არა, ჰაერში მიაჭრიან, რათა უფრო სწრაფად ჩაალწიონ დანიშნულების ადგილამდე.

გადის წლები, სანტა კლაუსი კი ოდნავადაც არ იცვლება — ისევ ისეთი მხიარული და ლოყაწითელია, არც სუქდება და არც ხდება, 115 კილოგრამი რჩება. ცხადია, არც სიმაღლე ემატება ან აკლდება, სანტა კვლავინდებურად 167,5 სანტიმეტრის სიმაღლისაა. ბევრს მიაჩნია, რომ სანტა 100 წელზე ხნიერია, თუმცა გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურება. სინამდვილეში იგი 1931 წელს დაიბადა, მისი შშობლები კი კომპანია „კოკა-კოლა“ და მხატვარი ჰედონ სანდბლომი არიან. ამ უკანასკნელმა სანტა „კოკა-კოლას“ სარეკლამო კამპანიისთვის აირჩია და ტანსაცმლის ფერებიც მისივე შეურჩია — წითელი და თეთრი.

სანტას წინამორბედებს კი ხან ელფების, ხან კეთილი ქონდრის კაცების, ხანაც ჰოლანდიელი მეზღვაურის სახით წარმოადგენდნენ და XIX საუკუნის შუა წლებამდე სენტ-ნიკოლასის სახელით მოიხსენიებდნენ.

არავინ იცის, რა ქონების მფლობელია სანტა-კლაუსი, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ყოველწლიურად ის მთელი მსოფლიო ბავშვებისთვის გაკეთებულ საჩუქრებზე 240 მილიარდამდე დოლარს ხარჯავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ძალიან მდიდარია.

სანტას ძალიან უყვარს ნამცხვრები, მის ირმებს კი სტაფილო, ამიტომაც შობის ღამეს მათ სწორედ ამ ნუგბარს უტოვებენ ხოლმე.

ჰოლონელები ადრეულ ასაკშივე ეცნობიან თავიანთი თოვლის პაპის — წმინდა მიკოლაის წარმომავლობას. საეკლესიო წიგნების თანახმად, 270 წელს პატარში ერთ მდიდარ ოჯახში ერთადერთი ვაჟი დაბადებულა, რომლისთვისაც მიკოლაი დაურქმევიათ. ბიჭი თანატოლებისგან განსაკუთრებული ღვთისმოსაობითა და ღარიბთა დახმარების სურვილით გამოირჩეოდა. შშობლების გარდაცვალების შემდეგ მათი მთელი ქონება უქონელთი დაურიგა, თვითონ ეკლესიის მსახურება აირჩია და მოგვიანებით ეპისკოპოსის წოდებაც დაიმსახურა. მიკოლაის გარდაცვალების წელი ზუსტად არ არის ცნობილი, სავარაუდოდ იგი 6 დეკემბერს, 345-352 წლებს შორის გარდაიცვალა და წმინდანად იქნა შერაცხული. წმინდა მიკოლაი უშვილო ქალებისა და ბავშვების მფარველი გა-

ხდა. სიცოცხლეში მიკოლაი სიხარულის, ბედნიერების, კეთილი ამბების მაუწყებელი იყო, ხალხს ახალი სიცოცხლის გაჩენის რწმენას უნერგავდა იმათ, ვისაც ამის იმედი აღარ ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ლეგენდის თანახმად, წმინდა მიკოლაის საგანგებო მისია დაავალეს — ქრისტეს შობა ახაოს ადამიანებს. წინასაახალწლო დღეებში ასობით ფირმა მკლავებდაკაპიწებული ირჯება წმ. მიკოლაის მოსამზადებლად. რომელსაც ყოველი ბავშვი ელოდება საჩუქრების მისაღებად.

# რატომ ვამბობთ ასე?

**კარის ყურთამდე გაღება** — ძველად კარებს ანჯამები არა ჰქონია. ერთიანი კარი ჩარჩოში მაგრდებოდა ზევით და ქვევით წათლილი რიკების საშუალებით, რომლებსაც ყურები ერქვა. კარი სრულად რომ გაიღებოდა, ეს ყურები გამოჩნდებოდა, მაშასადამე, თქმა „კარი ყურთამდე, ყურებამდე გაიღოო“ ნიშნავს კარის ყურების გამოჩენას, ე.ი. კარის სულ, ფართოდ გაღებას.

**შაბზე წავიდა** — მოკვდა. რადგან ძველად თბილისის დაბახანებში ტყავეულობის გამოსაქნელად საჭირო შაბი საქართველოში არ მოიპოვებოდა, იგი განჯიდან მოჰქონდათ. იმ დროს რკინიგზა ჯერ არ იყო გაყვანილი და შაბს ურმებით ეზიდებოდნენ. შაბზე წასულებს გზაში უამრავი ხიფათი ელოდათ. ხშირი იყო ყაჩაღთა შეიარაღებული თავდასხმები, ძარცვა, კვლა, ამიტომაც „შაბზე წასვლა“ სიკვდილის სინონიმად იქცა და დღესაც კი თუმცა იშვიათად იხმარება, მაგრამ გამოთქმა „შაბზე წავიდაო“ სიკვდილს ნიშნავს.

**შენ ვინა გკითხავს, ბაირამა დაჩულესო** — არამკითხეობა, რაც შენი საქმე არ არის, იმაში რატომ ერევი. ბაირამა ერთი ქეზიყელი კაცის კამეჩს რქმევია. ზამთარში, თურმე რომ არ შესცივნოდა, ის კაცი კამეჩს ჩულს ან ძველ ქეჩას აფარებდა. მეზობელს, რომელსაც არაფერი ესაქმებოდა ამ გლეხის კამეჩთან, უკითხავს: ბაირამა ხომ დაჩულეთო? კამეჩის პატრონს არამკითხესთვის ასე შეუღრენია: „შენ ვინა გკითხავს, ბაირამა დაჩულესო“.

**შენს თონეში ჭინჭარიც ამოსულაო!** — შენი ოჯახი ამოწყვეტილიყოს, შიგ ცოცხალი არავინ დარჩენილიყოს! ეს უდიდესი წყევლაა და გულისხმობს ოჯახის დედაბუდიანად ამოწყვეტას. რადგან ჭინჭარი მაშინღა შეიძლება ამოვიდეს თონეში, როცა მას აღარ ახურებენ, შიგ პურს აღარ აცხობენ. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, როცა თონეს პატრონი, გამხურებელი, პურის გამომცხობელი აღარ ეყოლება.

## სიტყვის კონა

**მიტკალი** — ბამბის თეთრი ქსოვილი.

**ნარუში** — მსხვილად ნაფქვავი (გადატანითი მნიშვნელობით — დუკვირვებელი ნათქვამი).

**ნაფოთევი** — ცელის ერთი მოსმით მოთიბული ბალახი.

**ნუჭრი** — ხეზე ავადმყოფური ამონაბურცი.

**ორფეშსო** — დაკლული საქონლის გატყავებული და გამოშიგნული მთლიანი ტანი.

**ქვავი** — ზვიმის ჩამონაწვეთი ხის ფოთლებზე — ლეშხი.

**ჭიჭო** — ახლად თაგჩენილი ბალახი.

**კილი** — მცირე ნაკლი.

**ტატყეები** — მსხვილი, სქელი, ფართო ხელები ან ფეხები.

**ტიტიბი** — ბროწეულის ნარჩევი ქერქი; იყენებენ შესაღებად.

**თოფრა** — პატარა ტომარა.

**ყურთა** — ხელის ნაწილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე.

**ჭიუხი** — შიშველი, წვეტიანი კლდე.

# ჩასვეკ ძმოლოდ ლოფაჩს ვაანდოძლ

*კლასში ყველაზე დაბალი ვარ (150 სმ) და ბიჭებმა „წრიაა“ დამარქვეს. კი შევეჩვიე ამ სახელს, აღარც მწყინს (ჩვენს კლასში ყველას აქვს მეტსახელი), მაგრამ მაინც განვიცდი, ვაითუ აღარ გავიზარდო და მაშინ არც ერთი ბიჭი ზედაც არ შემომხედავს, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.*

**ნინი, 14 წლის, ქ. გორი**

ერთ ბრძენს უთქვამს, თუ სიტუაციის შეცვლა არ ძალგიძს, ამ სიტუაციისადმი დამოკიდებულება უნდა შეცვალოო. ეს რჩევა იმ შემთხვევაში გამოგადგება, თუ მართლა აღარ გაიზრდები, უნდა შეეგუო შენს სიმაღლეს (ბოლოს და ბოლოს 150 სმ. არც ისე ცოტაა) და ყურადღება სხვა შენს გარეგნულ მონაცემებზე გაიტანო, თუნდაც თვალებზე, თმებზე, თითებზე. ლამაზად შეჭრილი თუ დავარცხნილი თმა, მოწესრიგებული ფრჩხილები, ხელები, ზომიერი მაკიაჟით შელამაზებული თვალები დაგეხმარება ირწმენო, რომ გოგონას, ქალის გარეგნობაში სიმაღლე მთავარი სულაც არ არის. ამასობაში ასაკიც მოგიწევს, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ჩაიცვამ და აღმათ, კომპლექსიც საბოლოოდ მოგეხსნება. ნურც იმას დაივიწყებ, რომ ბიჭებს, მამაკაცებს უყვართ, როცა ქალები მათ ზევიდან კი არ დაჰყურებენ, არამედ ქვევიდან ზევით შეხცქერიან, უყვართ ნაზი, უმწეო ქალები, რომლებსაც დაცვა ესაჭიროებათ. ასეთებს კი ისინი დაბლებში უფრო პოულობენ, ვიდრე მაღლებში.

და ბოლოს — საზოგადოდ, თუ რაიმე სერიოზულმა დაავადებამ არ შეუშალა ხელი, გოგონები 23-24 წლამდე იზრდებიან, ისე რომ ყოჩაღად იყავი, შეუძახე საკუთარ თავს და გახსოვდეს — საკუთარი თავის რწმენა ძალზე ბევრს ნიშნავს.

* * *

*ჩემი ტანჯვა მაშინ დაიწყო, როდესაც სარკეში დავინახე, რომ მეორე ნიკაპი გამიჩნდა. როგორაა, 15 წლის ვარ და ისეთი დაბალი მაქვს, როგორიც 60 წლის მსუქან ქალს. გადავწყვიტე დიეტაზე გადავსულიყავი. ათასნაირი წიგნი და ჟურნალი წავიკითხე, დავაგროვე, რამდენი კალორია უნდა მიიღოს ადამიანმა დღეში და მას შემდეგ აღარაფერს ვჭამდი, მარტო — მურაბებს. გავიდა რამდენიმე თვე, ჩემს ლაბაბს არაფერი დაეტყო, სამაგიეროდ, დავსუსტდი, წნევაც დამეთარეა, თავბრუც მეხვევა, მხედველობაც დამიქვეითდა, აღარაფრის თავი და ხალისი აღარ მაქვს, დიეტამ შველის ნაცვლად ავად გამხადა.*

**სალომე, 15 წლის ქ. ბათუმი**

სალომე, ძვირფასო, გვინდა გითხრათ, რომ არ შეიძლება ასე დაუფიქრებლად ენდო ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ათასნაირ რჩევას. ადამიანისათვის საჭირო კალორიების, ენერგიის გამოთვლა მხოლოდ ინდივიდუალურად შეიძლება და იმ პროდუქტების შერჩევაც, რომლებიც ამ კალორიებით უზრუნველყოფს ადამიანს, ამ ადამიანის პირადი საქმეა. უფრო მეტიც, ყველა ეს გაანგარიშება და რჩევა გათვლილია იმ ასაკისათვის, როცა ორგანიზმის დაბერებასთან დაკავშირებული ჭარბი წონის პრობლემები იჩენს თავს. შენი ორგანიზმი ახლა აქტიურად იზრდება, შენ კი საზრდოს აკლებ, ამასობაში საკუთარი ნიკაპი ლამის კერპად გაგიხდია, მხოლოდ მასზე ფიქრობ, მხოლოდ ის გადარდებს.

შენ გვეკითხები, როგორ მოვიქცეო და ჩვენც გიპასუხებთ: უწინარეს ყოვლისა, შეეშვი კალორიების გამოთვლას და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდი. ლაბაბის პრობლემა იმაში კი არ არის, თუ რამდენ კალორიას იღებ, არამედ იმაში თუ რამდენს ხარჯავ. ისე რომ, მეტი იმოძრავე, იარე ფეხით, ივარჯიშე, იცეკვე, იმუშავე ფიზიკურად.

* * *

*მე და გაგას (სინამდვილეში მას სხვა სახელი ჰქვია) ერთმანეთი გვიყვარს და არ გვინდა ერთმანეთს დავცილდეთ. მშობლები კი უშლიან გაგას ჩემთან შეხვედრას. თვითონ არ მეუბნება, მაგრამ მე ვხედავი, რატომაც არ მოვწონვარ მის ოჯახს. გაგას მამა „ახალი ქართველია“, ბევრი ფული აქვს, უცხოური მანქანით დაგრიალებს, პირადი დაცვა ჰყავს, უფროსი ძმა კემბრიჯში სწავლობს, გაგას კი ოქსფორდის უნივერსიტეტისთვის ამზადებენ, მე კი, მათი აზრით, ხელს ვუშლი... ისეთი ჩვეულებრივი ოჯახის შვილს (ჩემი მშობლები მეცნიერები არიან), როგორიც ჩემია, ისინი რძლად არ მოიყვანენ.*

*ჩვენ კი რა უნდა ვქნათ — მე და გაგამ? ჩვენნაირმა გოგო-ბიჭებმა? დავთმოთ ჩვენი გრძნობა?*

**მაპა, 15 წლის თბილისი**

ცხადია, გრძნობა არ უნდა დათმოთ. უფროსებს მხოლოდ მაშინ აჯობებთ, თუ ამ გრძნობის ჭეშმარიტებაში, სიძლიერეში დაარწმუნებთ. მთავარი ის არის, რომ გაგაც თანაგიგრძნობს. თუ ის უცხოეთში წავა სასწავლებლად, თქვენ საკუთარი გრძნობების შემოწმების საშუალება მოგეცემათ და თუ თქვენი სიყვარული განშორების გამოცდას გაუძლებს, მაშინ ხომ გაგას მშობლებიც დარწმუნდებიან მის ჭეშმარიტებაში და არა გვგონია, ამის შემდეგაც შეგიშალონ ხელი.

# უნდა გაგაოცოთ!

**არასდროს გინაცრიათ, ნეტავ, მაღლა ხეზე მძონდეს სახლი და იქიდან გადმოყურებდე ქვეყანასო? მეკერ ქვეყანაში ეს ნაცვრა სულ ადვილად აიხდინეს.**

ეს ორიგინალური სასტუმრო წყნარი ოკეანის კუნძულ მურეაზე მდებარეობს. მის ბედნიერ ბინადრებს საშულება აქვთ ზღვის სილამაზითაც დატკბნენ და მშვენიერ პლაჟზეც ინებივრონ, ამ სასტუმროში მოსვედრის იმდენი მსურველია, რომ მის მეპატრონეებს რიგი უდგათ.

* * *

გერმანელი იურგენ ბეგმანი 20 წელია ხეზე ცხოვრობს და

ამგვარი სახლების შეძენის მსურველებსაც სიამოვნებით უპროექტებს მათ.

* * *

პაპუა — ახალი გვინეის ბინადარი კოროვაის ტომის ადამი-

ანები დღესაც 35 მეტრის სიმაღლის ხეებზე პალმის ფოთლებისა და ქერქისგან მოწნულ სახლებში ცხოვრობენ. ასეთ სიმაღლეზე მათ არც ნადირის შიში აქვთ და არც მტრულად განწყობილი მეზობელი ტომებისა. ასეთი სახლი ხუთ წელზე მეტს ვერ ძლებს, ამიტომაც კოროვაები ხშირ-ხშირად იცვლიან „ბინას“.

* * *

კალიფორნიაში მძაფრი შეგრძნებების მოყვარულებს შეუძლიათ ხის ტოტზე ჩამოკიდულ კარავში გაატარონ რამდენიმე დღე. ეს კარვები სპეციალურად კლდეზე მცოცავებისთვის არის შექმნილი, იმისთვის, რომ არ გადმოვარდნენ, ამ ორიგინალური სასტუმროს ბინადრები უსაფრთხოების ქამრებით ებმებიან.



* * *

შვედეთში 300 წლოვანი მუხის ტოტებზე, 13 მეტრის სიმაღლეზე შეეუჟულ ამ ციცქნა სასტუმროს „კოდალა“ ჰქვია და ის ერთი სტუმრისათვის არის განკუთვნილი.

# მცირე მთასა და მცირე ზღვას იქით ეკოთი ჰაპარა სახელმწიფოა

## ვანუატუ

სახელმწიფო, რომელსაც აქაური მოსახლეობის კეთილმოსურნეობისთვის მომღიმარ ადამიანთა ქვეყანასაც უწოდებენ, მდებარეობს ოკეანეთში, ქვედა ჰებრიდების კუნძულებზე, სადაც უამრავი ვულკანია. ამ ვულკანების უმრავლესობაც „კეთილმოსურნეა“ და საშუალებას აძლევს ტურისტებს სიცოცხლისთვის რისკის გარეშე დატკბნენ მათი კრატერებიდან ამოფრქვეული მდუღარე ლავითა და ნაპერწკლების შადრევნებით. ვანუატელთა კიდევ ერთი საინტერესო ატრაქციონია „სტომა მიწაში“. ამ საანაბაობის მონაწილე ფეხებზე ლიანებშემოხვეული ახალგაზრდა ვანუატელები 35 მეტრის სიმაღლის კოშკიდან ხტებიან.



ქვეყნის კუთვნილ 80-მდე კუნძულზე 200 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობას მელანეზიელები შეადგენენ. მოსახლეობა ძირითადად მეცხოველეობას და სოფლის მეურნეობას მისდევს. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია ქოქოსი და ყავა.

ვანუატუს სახელმწიფო დროშაზე წითელ-მწვანე ფონზე გამოხატულია ორი გადაჯვარედინებული ტოტი, რომლებსაც გარს ტახის ეშვები აქვს შემოვლებული. საინტერესოა, რომ ოკეანეთში ჩაკარგული ამ ციცქნა სახელმწიფოს დროშისა და გერბის ავტორი რუსი კაზაკების ატამანის შვილიშვილი მხატვარი მიშუტუშკინია, რომელიც მრავალი წელია, რაც აქ დასახლდა. ვანუატუს სახელმწიფო ვალუტაა „ვატუ“,

## სან-ტომე და პრინსიპი

აფრიკის ყველაზე მცირეფართობიანი სახელმწიფო (დაახლოებით 1000 კვ.კმ) სან-ტომე და პრინსიპი გვინეის ყურის კუნძულებზე, თითქმის ზედ ეკვატორზე მდებარეობს. 165 ათასიანი მოსახლეობიდან მხოლოდ 6 ათასი ადამიანი ცხოვრობს კუნძულ პრინსიპიზე, დანარჩენები კი — სან-ტომეზე. ეს კუნძული XV საუკუნეში პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა აღმოაჩინეს და საკუთარ სახელმწიფოს მიუერთეს. მათვე ჩამოიყვანეს აქ პლანტაციებში სამუშაოდ აფრიკელი მონები. ამ უკანასკნელთა შთამომავლები მრავალი წელი იბრძოდნენ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მიზანს კი მხოლოდ 1975 წელს მიაღწიეს. სან-ტომეს და პრინსიპის ბუნება წარმოადგენს ჩამქრალ ვულკანებს, კლდეებს, ულამაზეს კონცხებს, ოკეანის ლაჟვარდოვან სანაპიროს, აქ ბინადრობენ ფრინველები, რომლებსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით დედამიწის ზურგზე. სავარგულების უდიდესი ნაწილი კაკაოს პლანტაციებს უჭირავს.





სახელმწიფო დროშა, რომლის მწვანე-ყვითელ ფონზე ორი შავი ვარსკვლავია გამოხატული, ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიქმნა. სან-ტომეს და პრინსიპის გერბზე გამოხატულია ორი ფრინველი: ქორი, რომელიც სან-ტომეზე ბინადრობს და პრინსიპის ბინადარი თუთიყუში. ქვეყნის სახელმწიფო ვალუტაზე, დობრზე გამოსახულია გაქცეული მონების ბელადი ამადორა.

## სახელმძღვანელო +

# ათონის ივერონი

ათონის ნახევარკუნძულის მდებარეობამ, საუცხოო ჰავამ,ზეთთასხილის ბაღებით, ფიჭვის, წიფლისა და მუხის ტყეებით დაფარულმა მთა-გორებმა ჯერ კიდევ VII საუკუნეში მიიქცია მოწესეთა ყურადღება. ამ დროიდან მოყოლებული, აქაურობა ჯერ განდეგილებმა შეიგულეს სულის თავშესაფრად, მერე კი ათონზე მონაზვნებმაც იწყეს დასახლება. 963 წელს ცნობილმა ბიზანტიელმა სამონასტრო მოღვაწემ ათანასიმ აქ პირველი მონასტერი დაარსა. მალე აქ სხვა მონასტრებიც გაჩნდა, მათ შორის ქართული.

ათონის ქართული მონასტრის დაარსება ორი ტაოელი დიდგზნაურის — იოანესა და თორნიკეს სახელებს უკავშირდება. ერისკაცობაში ორივე მეფე დავით კურაპალატის კარზე დიდად მიღებული პირი და სახელოვანი მხედართმთავარი ყოფილა. ბერად აღკვეცის შემდეგ იოანე ჯერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოთხთა ეკლესიაში მოღვაწეობდა, შემდეგ პითვინიის ოლიმპზე გადავიდა (მცირე აზია): ხოლო მოგვიანებით დავით კურაპალატის მიერ ბიზანტიის იმპერატორთან მძევლად დატოვებული თავისი ვაჟიშვილის ექვთიმეს კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანის შემდეგ მასთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ათონზე გაემგზავრა და ათანასის მიერ დაარსებულ ტაძარში დამკვიდრდა.



გამოხდა ხანი და თორნიკეც ბერად აღიკვეცა, იოანედ იწოდა და ათონს მიაშურა. ორი ქართველი იოანეს მოღვაწეობამ სხვაც ბევრი ქართველი სასულიერო პირი მიიზიდა ათონზე. მალე ქართველი ბერებისთვის ცალკე მონასტრის აგების აუცილებლობა სრულიად აშკარა გახდა და მოკლე ხანში ათონზე გაჩნდა ქართველ ბერ-მონაზონთა პირველი დამოუკიდებელი სავანე — ათანასის ლავრიდან დაახლოებით კილომეტრნახევრის მოცილებით იოანე მახარებლის სახელზე აშენებული ეკლესია სენაკებითურთ.

მერე და მერე მოვლენები ქართველთა სასიკეთოდ წარიმართა — 976 წ. მცირეაზიელი ფეოდალის ბარდა სკლიაროსის აჯანყებით შეშინებულმა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დახმარება ქართველთა მეფეს, დავით კურაპალატს სთხოვა. ამ საქმეში მოციქულობა კი თორნიკეყოფილ იოანეს მიანდო. დავითმა შეისმინა ერთმორწმუნე ქვეყნის თხოვნა და ბიზანტიელთა ჯარს 12 ათასი ქართველი მეომარი მიაშველა. მაშინ იყო, თორნიკემ რომ ბერის კაბა გაიხადა, კვლავ აბჯარ-მუზარადით შეემოსა, და კიდევ ერთხელ უსარდლა ლაშქარს. 979 წ. მდინარე ეფლისის პირას გამართულ ბრძოლაში ბარდა სკლიაროსი სასტიკად დამარცხდა. ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი სიტყვა ქართველებმა თქვეს, ამიტომაც ბიზანტიის დედოფალმა ბრძოლაში მოპოვებული მთელი ნადავლი თორნიკეს დაუტოვა და მადლიერების ნიშნად უნვადაც დაასაჩუქრა. სწორედ ამ საზსრებით მოახერხეს ქართველებმა ათონზე მიწის შეძენა და ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე ეკლესიების, სამონასტრო ნაგებობების აშენებაც და მამულების ყიდვაც.

მონასტრის მშენებლობის დასრულებისთვის ეს უკვე ქართველთა დამოუკიდებელი სავანე იყო, რომლის პირველ წინამძღვრად იოანე ქართველი აირჩიეს. აქ მოღვაწე ბერების ძალისხმევით მალე ოვერთა მონასტერი ათონის მთის ერთ-ერთ წამყვან სამონასტრო ცენტრად იქცა. მისი პირველი წინამძღვარი, იოანე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ წმინდა მთაზეც და ბიზანტიის საიმპერატორო კარზეც.

ივერთა მონასტერი (ანუ, როგორც მას ბიზანტიელები უწოდებდნენ, ივერონი) ქართული განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად იქცა. მისი დამაარსებლების ზრუნვით დაიწყო ბერძნული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა-გამარვლება. ძალზე ინტენსიურად მუშაობდა თარგმანზე თავად იოანე, მოგვიანებით მას მხარში ამოუდგა შვილი, ათონის ქართული მონასტრის მომდევნო წინამძღვარი ექვთიმე ათონელი, რომელმაც დააფუძნა ქართული მწიგნობრობის ის ბრწყინვალე სკოლა, ესოდენ დიდი წვლილი რომ შეეტანა ქართული აზროვნების, ლიტერატურის, საერთოდ კულტურის განვითარებაში.

**ნაჯარგი ჯვარი ივერთა მონასტრიდან**

# ეკეკლესიათა ისტორია

თავად ექვთიმემ ქართულად უზადოდ თარგმნა სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგის თხზულებები. იმავე დროს მას იმდენად სრულყოფილად სცოდნია ბერძნული ენა, რომ ქართულიდან ბერძნულადაც თარგმნიდა. კერძოდ, მას უთარგმნია „ბალავარიანი“ და „აბუკურა“. უფრო მეტიც, ექვთიმე ათონელს ბერძნულად სამონაზონო ცხოვრების წესის შესახებ ორიგინალური თხზულებაც დაუწერია.

**ათონის ქართული მონასტერი (ძველი ნახატი)**

იოანეს და ექვთიმეს მეცადინეობით ათონის ქართულ მონასტერში ჩამოყალიბდა მწიგნობარ-გადამწერთა მთელი ჯგუფი: იოანე ხახულელი, არსენ ნინოწმიდელი, ოქროპირი, იოანე გრძელისძე და სხვები.

იოანეს და ექვთიმეს საქმიანობა-მოღვაწეობა ღირსულად განაგრძო ექვთიმეს შემდგომმა წინამძღვარმა გიორგი მთაწმინდელმა. გიორგი მონასტრის ეკონომიურ მომძღავრებაზეც ზრუნავდა და აქ მიმდინარე მთარგმნელობით-შემოქმედებითი საქმიანობის გავრცობაზეც. წინამორბედთა მსგავსად, გიორგიმაც მრავალი თხზულება თარგმნა (თვენი, დავითნი, დიდი სვინაქრისი, სამოციქულო და სხვ) და ორიგინალური თხზულებაც დაწერა. „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთიმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა“, რომელიც გარდა იმისა, რომ დაწერილებით მოგვითხრობს იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება-მოღვაწეობაზე, საქართველოს და ბიზანტიის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენს. ამასთან გიორგი მთაწმინდელმა ამ თხზულებით ათონის ბერძენ ბერთა მოძალების ჟამს სარწმუნოდ დაამტკიცა, რომ მონასტერი კანონიერად ეკუთვნოდა ქართველებს, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი და დამსახურება მიუძღოდათ როგორც ბიზანტიის ხელისუფლების, ისე ათონის სავანეების წინაშე.

ათონის ქართულ სავანეში შემდგომშიც გრძელდებოდა გაცხოველებული მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მაგრამ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, აქაურობა ჯერ ლათინმა ჯვაროსნებმა დაარბიეს, მერე კი თურქმა, არაბმა, კატალონელმა მეკობრეებმა. ამას ბერძენ ბერებთან, საერთდ ბერძნულ ეკლესიასთან ურთიერთობის გამწვავებაც დაემატა და ივირონს მძიმე დრო დაუდგა. ბერძნულმა სამღვდელოებამ ისარგებლა საქართველოს პოლიტიკური დაძაბუნებით და ათონზე ქართველთა რიცხვის შემცირებით და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კალისტე I-მა ქართველებს მონასტრის მართვის უფლება ჩამოართვა. თუმცა 136 წლიდან ივირონის წინამძღვარი კვლავ ქართველია. XV საუკუნეში, მას შემდეგ რაც თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერიაც დაამხეს, ივირონს საქართველოდან მიღებული შემწეობისა გაჰქონდა თავი. თუმცა ქართველი მეფე-მთავრები მზრუნველობას არ აკლებდნენ ივირონს, ქართველ ბერ-მონაზონთა მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, და სავანეს ბერძენი ბერები დაეპატრონენ. ამას მოჰყვა ქართველი ბერების შევიწროება. ბერძნებმა ხელყვეს ივირონის ფრეკსები, წამალეს ქართული წარწერები, ქართველ მოღვაწეთა სახელები. XIX საუკუნის დამდეგს ათონში თურქების გამოჩენით შეშინებულმა ბერძნებმა ათონი მიატოვეს. ქართველები კი დარჩნენ და ქართული წარმოშობის თურქთა სარდალთან, ჭყონია ფაშასთან მოლაპარაკების შედეგად საკუთარი სავანეც გადაარჩინეს და ზოგი სხვა მონასტერიც. ეს ის პერიოდია, როდესაც ათონზე ვენედიქტე ქიტიაშვილი და ილარიონ ყანჩაშვილი მოღვაწეობდნენ. 1830 წელს ბერძნები ათონზე დაბრუნდნენ და ქართველები საბოლოოდ გამოაძევეს ივირონიდან. რამდენიმე დარჩენილ ქართველ ბერს კი ილია წინასწარმეტყველის სადაყუდებელი მიუჩინეს საცხოვრებლად. XIX საუკუნის 80-იან წლებში ათონზე ოთხად-ოთხი მოხუცი ქართველი ბერი იყო...

**ნიკიფორე ირბახის ფრესკული პორტრეტი**

# ცვიკვ ოოკლის ფანტელი...

ეთერ-ციციანი

დაზამთრდა. აცივდება. ჯერ მთაში ჩამოჰყრის თოვლს. მერე ბარშიც გათოვდება და თოვს, თოვს, თოვს. ფარფატებენ, ტრიალებენ ფიფქები, ნელა, მშვიდად, ჩუმად ეფენიან მიწაზე, სახლებზე, ხეებზე... თუ მოგისწრიათ და მყისიერ დადნობამდე დაკვირვებიხართ ხელზე თუ ტახსაცმელზე დაცემულ ფიფქს, უთუოდ შეამჩნევდით, რა უცნაურად ლამაზია იგი, ხოლო თუ მეორე, მესამე ფიფქისთვისაც შეგიდარებიათ, გაკვირვებთ შეგეშნიშნავთ, რომ ისინი სხვადასხვა მოყვანილობისა, ერთი ვარსკვლავს ჰგავს, მეორე — ფირფიტას, მესამე ნემსს და ა.შ.

მაინც რა არის ფიფქი, რატომ არის ის ასეთი და არა სხვანაირი, როგორ ჩნდება იგი?

1611 წელს გერმანელმა ასტრონომმა ი. კეპლერმა გამოაქვეყნა თხზულება „საანალწლო საჩუქარი, ანუ ექვსკუთხა თოვლის შესახებ“. თხზულებაში ლაპარაკია ფიფქების მოყვანილობაზე და იქვე დასმულია კითხვა: „რატომ არის თოვლი ექვსკუთხა?“ კეპლერი თვითონვე პასუხობს ამ კითხვას: „ჩემთვის ეს ჯერ უცნობია“. თუმცა მას შემდეგ თითქმის ოთხი საუკუნე გავიდა, სპეციალისტები იძულებული არიან დღესაც გერმანელი ასტრონომის პასუხი გაიმეორონ. სამაგიეროდ, დანამდვილებით არის ცნობილი ის, თუ როგორ წარმოიშობა თოვლის ფიფქები. თავიდან კრისტალიზაციის ბირთვების (უმცირესი უცსო ნაწილაკების) ირგვლივ წარმოიშობა ჩანასახოვანი ყინულის კრისტალები. ზევით-ქვევით გადაადგილებისას ისინი წყლის გაცივებულ წვეთებად ჰაერის ფენაში ხვდებიან და აქ მომავალი ფიფქები სუბლიმაციის სარჯზე იწყებენ ინტენსიურ ზრდას, ამასთან ფიფქის ამობურცული მონაკვეთები უფრო სწრაფად იზრდება. ასე ჩნდება ირველდაწყებითი ექვსკუთხა ფირფიტისგან ექვსკიბანი ვარსკვლავი. ბაბადაგზა გადამეტცივებულ ეტცირეს წვეთებს რომ ხვდებიან, ფიფქები ფორმას იცვლიან. ფიფქების შექმნასა და ზრდაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს და სწორედ ამიტომ არის მათი ამდენი ნაირსახეობა. საუკეთესო კოლექციებში 5 ათასი ერთმანეთისგან განსხვავებული ფიფქის ფოტოსურათი ინახება, თუმცა სპეციალისტებმაც კი მხოლოდ მიახლოებით იციან, რეგორ ასახავენ ფორმა და ზომა ფიფქის სიცოცხლის ისტორიას.

ცნობილია, რომ ფიფქები ჯერ კიდევ ჰაერში განუწყვეტლივ იცვლიან ფორმას. ამინდის პირობების მიხედვით სხვადასხვა ადგილებში „თავ-თავისი“ თოვლი მოდის. მაგალითად, ბალტიისპირეთში უფრო ხშირად თოვლი დიდი, განტოტვილი ფიფქების, ზოგჯერ კი ხაოიანი ფანტელების სახით მოდის (ეს ჰაერის მაღალი ტენიანობით არის გამოწვეული). ყაზახეთს ჩრდილოეთში კი ისეთი მაგარი თოვლი მოდის, რომ ცულს რომ დაჰკრავენ, ისე წკრიალდებს, თითქოს რკინას მოზვდაო. 1944 წლის გაზაფხულზე მოსკოვში 10 სანტიმეტრის განივკვეთის ფანტელები მოვიდა. ციმბირში კი 30 სანტიმეტრის დიამეტრის თოვლიც მოსულა. იაკუტიაში ყინულის ნემსების თოვლს ხშირად „ალმასის მტვერსაც“ უწოდებენ.

ფიფქი ძალზე მსუბუქია, იგი დაახლოებით ერთ მილიგრამს იწონის, იშვიათად კი 2-3 მილიგრამს. დიდთოვლობისას მილიარდობით ფიფქს შეუძლია რამდენიმე საათში უზარმაზარი სივრცეები დაფაროს ფაფუკი თოვლის საბნით, რომელიც ზოგჯერ იმდენად მძიმე საფარად გადაიქცევა ხოლმე, რომ შეუძლია დედამიწის ტრიალის სიჩქარეზე იმოქმედოს, მაგალითად, აგვისტოში, ყველაზე ნაკლებთოვლიანობის პერიოდში, როდესაც ჩრდილო ნახევარსფეროში ჯერ კიდევ ზაფხულია, სამხრეთში კი ზამთრის მიწურულია, თოვლით პლანეტის მთელი ზედაპირის 9,8 პროცენტი (44:10 კვადრატული კმ. ფართობი) იფარება. ხოლო ასეთი საფარი 840 მილიარდ ტონას იწონის. ზამთრის მიწურულს ჩრდილო ნახევარსფეროში სეზონური თოვლის მასა 13500 მილიარდ ტონას აღწევს. თოვლის საფარის ფართობი კი 05.10 კვადრატულ კილომეტრს. მაგ ზე — თოვს, თოვს, თოვს... ხელთათმანიანი ხელი შეუშვირეთ და დაიჭირეთ ფიფქი, ოღონდ ცხვირ-პირზე ხელი აიფარეთ, რადგ თბილმა სუნთქვამ არ დაადნოს იგი. ახლა კი გულდასმით დააკვირდით ყინულის კრისტალებს. რა? ფიფქი ვარსკვლავს ჰგავს! თუ ფირფიტას? იქნებ სულაც საკინძეს? არ გაგიკვირდეთ, ფიფქების შემსწავლელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არსებობს ცხრა ძირითადი სახის თოვლის კრისტალები: ფირფიტა, ვარსკვლავი, ხვეტი, ნემსი, ფუმფულა ზღარბი, საკინძე, ბაკურული ფიფქი, ზორხოშელა. თითოეული ამ კრისტალთაგანი თავის მხრივ, კიდევ მრავალი სახისაა. მაგალითად, ვარსკვლავი შეიძლება საქმიანიც იყოს და თორმეტქიმიანიც, ზღარბი კი — ფირფიტოვანი, მილისებრი, ვარსკვლავისებრი... ხულ კი ფიფქი ორმოცდარვა სახით, ვარიანტითა და კომბინაციით გვევლინება. ერთად შეერეხული ფიფქები კი ფანტელებს ქმნიან, რომლებიც ბამბის ფთილას მოგვაგონებენ.

# სიცილის გაკვეთილი

* * *

—თქვენმა ბიჭმა შეურაცხყოფა მომაყენა, „ბებერი ძროხა“ მიწოდა, შესჩივლა აღშფოთებულმა მეზობლის ქალმა კურტის დედას.

—ძალიან ვწუხვარ, სულ იმას ვეუბნები კურტს, ადამიანებს მათი გარეგნობის მიხედვით ნუ შეარქმევ-მეთქი სახელს, მაგრამ ვერაფერი შევასმინე, — მიუგო მას ქალბატონმა კლარამ.

* * *

—მამი, წამიყვანე რა, ცირკში, გთხოვ! — ეხვეწება პიერი მამას.

—სად მცალია ცირკისთვის, ერთი წუთი არ მაქვს თავისუფალი დრო.

—სამწუხაროა, ამბობენ, ვეფხვზე ამხედრებული ტიტველი ქალი ისე დაჭენებს, რომ გაგიჟდები.

—მართლა? მაშინ წავიდეთ, რა ხანია ვეფხვი აღარ მინახავს!

* * *

—შენ ასწავლე ჩვენს თუთიყუშს ამდენი უწმაწური სიტყვა?

—არა, დედიკო, მე უბრალოდ ჩამოვუთვალე, რომელი სიტყვები არ უნდა იხმაროს.

* * *

ჟაკოს გაუთავებელი შეკითხვებით გაბეზრებულმა მამამ ვედარ მოითმინა და წყრომით უთხრა შვილს:

—არა, ნამდვილად გამაგიჟებ შენი გაუთავებელი შეკითხვებით და საგიჟეთში ამომყოფინებ თავს.

—მაშინ მამიკო, გეხვეწები ერთ უკანასკნელ კითხვაზე მიპასუხე: შეიძლება საგიჟეთში გინახულო?

* * *

—აბა, მითხარი, გენაცვალე, დღეს რაღა ისწავლე სკოლაში? — ჰკითხა ფრანტიშეკს დედედამ.

—დღეს ქიმიის მასწავლებელმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აგვიხსნა, ძალიან საინტერესო იყო.

—კეთილი და პატიოსანი, ხვალ რაღას გააკეთებ სკოლაში?

—რომელ სკოლაში?

* * *

—მადამ ელენ, მადამ ელენ! — ეძახის გააფთრებული ქალბატონი ვივიენი მეზობელს, — თქვენი სამი ბიჭი ისევ ჩემი ბლის ხეზე ასულა.

—რას მეუბნებით?! ღმერთო ჩემო, მეოთხე რატომღა არ არის მათთან ერთად?!

* * *

—რამდენ ლიტრ რძეს იწველის თქვენი ძროხა? — ეკითხება მასწავლებელი ოტოს.

—რვა ლიტრს, ბატონო მასწავლებელო!

—მერე რას უშვრებით რძეს?

—ორ ლიტრს ჩვენ თვითონ ვსვამთ, ცხრა ლიტრს კი კყიდით.

* * *

მამამ შინ მარწყვით სავსე კალათი მიიტანა. სამივე შვილს თითო-თითო მარწყვი მისცა და დასძინა:

—დანარჩენებსაც ზუსტად ასეთი გემო აქვს.

* * *



—ხვალ ოთხი ინგლისურის გაკვეთილი გვაქვს. — მძიმედ ამოიოხრა ვილიმ.

—ეგ კიდევ არაფერი, გაუძლებს კაცი... შენ ისა თქვი, ინგლისელებმა რა უნდა ქნან, მთელი დღე მარტო ეგ ენა რომ ესმით?

* * *

ერთი კატა თაგვების ოჯახს დაედევნა. თაგვები თავქუდმოგლეჯილები გარბიან, უეცრად ოჯახის უფროსი გაჩერდა, შემობრუნდა და ყეფა დაიწყო. კატა დაფრთხა და გაიქცა. მამა თაგვი თავის წრუწუნებს მიუბრუნდა.

—აი, ხომ ხედავთ, როგორი საჭირო ყოფილა უცხო ენების ცოდნა!

* * *

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის:

—ანონიმი ეწოდება ადამიანს, რომელსაც უნდა უცნობი დარჩეს.

ამ დროს კლასში სიცილი გაისმა.

—რომელია მანდ რომ იცინის? — იკითხა მასწავლებელმა.

—ანონიმი, მასწ! — გაისმა პასუხი.

* * *

—დე, იცი, გუშინ ჯონი ხელპირდაუბანელი მოვიდა სკოლაში და მასწავლებელმა შინ გაუშვა.

—მერე რა შედეგი მოჰყვა ამას?

—რა შედეგი და დღეს ცხრა ბიჭი და შვიდი გოგო მოვიდა სკოლაში პირდაუბანელი.

# ინილო — ზინილო




## იპოვეთ განსხვავებული

# საქართველოს მოძღვარი

თბილისის №166 საჯარო სკოლა, I კლასი
ხელმძღვანელი **რიტა ჩაჩუა**

თბილისის №166 საჯარო სკოლა, I კლასი
ხელმძღვანელი **მარინა ბასიშვილი**

# ჩვენი ვერნისაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

65/43



სალომე
გამცემლიძე

ნიკა
უგრეხელიძე

ნათია ოჩიაური

ალეკო
ჯანელიძე

ნინო ოქროპირიძე



ნინო სოხაშვილი

სალომე
აგლაძე